ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

vhs
DVV International

მიგრაციის მართვა: დაბრუნებული და პოტენციური მიგრანტების სირთულეები და გამოწვევები საქართველოს ოთხ მუნიციპალიტეტში

DVV International-საქართველოს ოფისი

დეკემბერი, 2016

წინამდებარე კვლევა შექმნილია ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ DVV International-ი და პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა, დაუშვებელია

კვლევის ავტორები: ნანა ჭაბუკიანი

ნათია უბილავა

კვლევის ასისტენტები: მარიამ აბელიანი

ანა აბულაძე

ლანა დავითულიანი

სალომე კალაძე

წინასიტყვაობა

კვლევა ჩატარდა პროექტის „ადამიანები მოძრაობაში: მიგრაციის გამოწვევების მართვა და ალრტერნატიული შესაძლებლობების შეთავაზება პოტენციური და დაბრუნებული მიგრანტებისათვის საქართველოში“, ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საქართველოს ფილიალი „თბილისის პროექტთა ბიურო“ (DVV International), ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. DVV International-ი წარმოადგენს გერმანულ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც საქართველოში მუშაობს 2002 წლიდან და ახორციელებს პროექტებს ზრდასრულთა განათლების სფეროში. ორგანიზაციის მიზანია, საქართველოში ზრდასრულთა განათლებისა და სიცოცხლის ბოლომდე სწავლის კონცეფციის განვითარება და პოპულარიზება.
კვლევითი ჯგუფი მადლობას უხდის დისკუსიების მონაწილეებს და პირისპირი ინტერვიუს რესპონდენტებს კვლევაში მონაწილეობისა და დახარჯული დროის გამო. ჩვენ, ასევე, გვსურს, მადლობა გადავუხადოთ ზრდასრულთა განათლების ცენტრების თანამშრომლებს კვლევის განხორციელებაში შეტანილი წვლილისთვის.

ავტორების მიერ წინამდებარე კვლევაში გამოთქმული მოსაზრება და დასკვნები შესაძლოა არ გამოხატავდეს DVV International-ის ან ევროკავშირის პოზიციას.

შინაარსი

წინასიტყვაობა 2

აბსტრაქტი 4

შესავალი 5

კვლევის მეთოდოლოგია 6

კვლევის შეზღუდვები 7

მიგრაციის მართვა საქართველოში 8

მიგრაციის სტატისტიკა 10

დაბრუნებულ მიგრანტებზე მიმართული პროგრამები 11

მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების შეფასება 13

ემიგრაციაში წასვლის სურვილი და მასთან დაკავშირებული ფაქტორები 18

მიგრაციაში წასვლის ძირითადი მიზეზები 20

მიგრაციის სახეები და დანიშნულების ქვეყნები 21

ლეგალურია თუ არალეგალური წასვლა? 22

არაფორმალური კავშირები და მათი როლი 23

ადგილზე არსებული სირთულეები 26

მიგრაციის პოზიტიური მხარეები 28

დაბრუნების მიზეზი და გარემოსთან რეადაპტაცია 29

დაბრუნებული მიგრანტების პროგრამები და მასთან დაკავშირებული სირთულეები 30

ემიგრაცია თუ სამშობლოში დარჩენა? 32

ცოდნა ვიზა ლიბერალიზაციის შესახებ 33

დასკვნები და რეკომენდაციები 36

დანართები 39

აბსტრაქტი

ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე საქართველოში მიგრაციის მართვის კუთხით მნიშვნელოვანი დადებითი ცვლილებები შეიმჩნევა, როგორც სტრატეგიული, ასევე, ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერების კუთხით, რასაც, გარკვეულწილად, ხელს უწყობს საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული სტრატეგიული დოკუმენტები. მიუხედავად აღნიშნული პროგრესისა, საქართველოსთვის, მიგრაციის მართვა კვლავ რჩება მნიშვნელოვან გამოწვევად. წინამდებარე კვლევის მიზანია, საქართველოს ოთხ მუნიციპალიტეტში მიგრაციის პროცესების შესწავლა, კონკრეტულად კი, მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების შეფასება; ემიგრაციის მიზეზების გამოკვეთა და პოტენციური და დაბრუნებული მიგრანტების ძირითადი პრობლემებისა და საჭიროებების გამოვლენა. კვლევის შედეგების მიხედვით, მიგრაციის მართვა საქართველოში, ძირითადად, ცენტრალიზებულია და მუნიციპალიტეტებს არ აქვთ მიგრაციის საკითხები ასახული სტრატეგიულ დოკუმენტებში და შესაბამისად, მათი კვალიფიკაციაც საჭიროებს გაძლიერებას. საქართველოში, მიგრაციის საკითხებზე ჩატარებული სხვა კვლევების მსგავსად, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გამოიკვეთა, როგორც ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი ემიგრაციაში წასვლისთვის. მიუხედავად მრავლისმომცველი რეინტეგრაციის სახელმწიფო პროგრამებისა, დაბრუნებული მიგრანტების ნაწილისთვის აღნიშნული პროგრამები ნაკლებად ხელმისაწვდომია, ინფორმაციის თუ ნდობის ნაკლებობის გამო. მეორე მხრივ, ამ საკითხის გადაჭრაზე მომუშავე აქტორების (მუნიციპალიტეტი და არასამთავრობო ორგანიზაციები) ურთიერთთანამშრომლობა ნაკლებად ეფექტურია. მიუხედავად იმისა, რომ კვლევის არეალი მოიცავდა, მხოლოდ საქართველოს ოთხ მუნიციპალიტეტს, კვლევის შედეგად მოპოვებული სიღრმისეული ინფორმაცია, შესაძლოა, გამოყენებულ იქნას, მიგრაციის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების სტრატეგიული დოკუმენტების გადახედვისა და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვისთვის.

საკვანძო სიტყვები: მიგრაციის მართვა, დაბრუნებული მიგრანტები, მუნიციპალიტეტები, ემიგრაცია.

შესავალი

წინამდებარე კვლევა განხორციელდა პროექტის „ადამიანები მოძრაობაში: მიგრაციის გამოწვევების მართვა და ალრტერნატიული შესაძლებლობების შეთავაზება პოტენციური და დაბრუნებული მიგრანტებისათვის საქართველოში“, კვლევის მიზანს წარმოადგენდა, აღეწერა, შეეფასებინა და გაეანალიზებინა, მიგრაციის ძირითადი მიმართულებები საქართველოს ოთხ მუნიციპალიტეტში: ჩოხატაურში, წალენჯიხაში, თეთრიწყაროსა და ლაგოდეხში. კვლევის ძირითადი მიგნებები გამოყენებული იქნება პროექტის სამომავლო აქტივობების წარმატებით დაგეგმვასა და განხორციელებაში.

ზემოთაღნიშნული პროექტი ხორციელდება, სახალხო უნივერსტეტთა გერმანული ასოციაციის საქართველოს ფილიალის „თბილისის პროექტთა ბიურო“-ს მიერ ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს მიგრაციის პროცესების მართვას საქართველოს ოთხ რეგიონში, პოტენციურ და დაბრუნებული მიგრანტების შესაძლებლობების გაზრდის გზით. აღნიშნული პროექტი ხორციელდება ჯვარის, ლელიანის, ჩოხატაურისა და კოდის ზრდასრულთა განათლების ცენტრებთან პარტნიორობით. პროექტის განმავლობაში, ბენეფიციარებს აქვთ შესაძლებლობა, გახდნენ მრავალკომპონენტიანი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილეები, სადაც შეძლებენ გაიუმჯობესონ პიროვნული და პროფესიული უნარები, მიიღონ მეტი ინფორმაცია სამართლებრივ და ფინანსურ საკითხებზე და გახდნენ მეტად კომპეტენტურნი შრომით ბაზარზე.

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: 1. პროფესიული განათლება; 2. პირადი განვითარების კურსები; 3. თვით-პრეზენტაცია და სამსახურის პოვნის უნარ-ჩვევები; 4. ფინანსური განათლება; 5. იურიდიული განათლება; 6. საბაზისო ინგლისური/გერმანული ენები; 7. ადამიანის უფლებების გაცნობის პროგრამა. პროექტი დასრულდება 2017 წლის ივნისში.

პროექტის საწყის ეტაპზე, მიგრაციის პროცესების შესასწავლად, მიზნობრივ მუნიციპალიტეტებში ჩატარდა აღწერითი კვლევა. კვლევის ჩატარების პერიოდი, 2016 წლის აგვისტო-დეკემბერია. კვლევის მიზანს, ერთი მხრივ, წარმოადგენდა დაბრუნებული და პოტენციური მიგრანტების, პრობლემებისა და საჭიროებების გამოვლენა, ხოლო მეორე მხრივ, მიზნობრივ მუნიციპალიტეტებში სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის პროექტები, რომლებიც მიმართულია დაბრუნებული და პოტენციური მიგრანტებისკენ.

კვლევის ამოცანებად კი განისაზღვრა შემდეგი საკითხები:

- პოტენციური და დაბრუნებული მიგრანტების ძირითადი პრობლემებისა და საჭიროებების გამოვლენა;
- მიგრაციაში წასვლის ძირითადი მიზეზების გამოვლენა;

- ადგილობრივი მუნიციპალიტეტის შესაძლებლობების შეფასება, მიგრაციის მართვის კუთხით;
- ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების საქმიანობის მიმოხილვა, მიგრაციის ჭრილში;
- დაბრუნებული და პოტენციური მიგრანტებისათვის შეთავაზებულ სერვისებსა და მათ საჭიროებებს შორის არსებული განსვლის შეფასება.

კვლევის მეთოდოლოგია

მონაცემების მოპოვების მიზნით, კვლევის ფარგლებში გამოყენებული იყო კვლევის თვისებრივი მეთოდები: სამაგიდე კვლევა, პირისპირი ინტერვიუ და ფოკუს ჯგუფები. საკვლევი ინსტრუმენტი - სადისკუსიო გეგმები, ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფის შეხვედრებისათვის, შემუშავდა წინასწარ (იხ. დანართი 1) მკვლევართა ჯგუფის მიერ. ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიგრაციის მიმართულებით საქმიანობის შესაფასებლად, შემუშავდა ორგანიზაციების შესაძლებლობების შეფასების კითხვარი (იხ. დანართი 2). გარდა ამისა, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, გაანალიზდა მეორადი მონაცემებიც.

კვლევის მონაცემები შეგროვდა 2016 წლის სექტემბერ-ოქტომბრის თვეში. პირველ ეტაპზე, ჩატარდა სამაგიდო კვლევა. იგი მოიცავდა შემდეგი დოკუმენტების ანალიზს: 1. სახელმწიფო და ადგილობრივი პოლიტიკის დოკუმენტები (კანონები, სტრატეგია, სამოქმედო გეგმები და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტები); ბ. მიგრაციის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტების დოკუმენტები; გ. მიგრაციის სფეროში ჩატარებული საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევები (დოკუმენტების ჩამონათვალისთვის იხ. დანართი 3). აღნიშნული დოკუმენტების ანალიზი გამოყენებულ იქნა, ქვეყანაში მიგრაციის ზოგადი მიმოხილვის გასაკეთებლად.

პირისპირი ინტერვიუები ჩატარდა სახელმწიფო, არასამთავრობო და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან (ჩატარებული ინტერვიუების ჩამონათვალისთვის იხ. დანართი 4). სულ, კვლევის ფარგლებში, ჩატარდა 16 ინტერვიუ.

იმის შესაფასებლად, თუ რამდენად აქვთ რესურსები მიგრაციის საკითხებზე მუშაობისათვის, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუს დროს, გამოყენებული იყო „ორგანიზაციების შესაძლებლობების შეფასების კითხვარი“ (იხ. დანართი 2). კითხვარის ფარგლებში ფასდებოდა შემდეგი ასპექტები: 1. სტრუქტურული შეფასება (მიგრაციის საკითხებზე მომუშავე დეპარტამენტი, განყოფილება); 2. პოლიტიკის დოკუმენტების (სტრატეგია, სამოქმედო გეგმა) შეფასება; 3. მიგრაციის კუთხით განხორციელებული აქტივობების შეფასება; 4. რესურსების (ფინანსები, კადრები) შეფასება; 5. სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შეფასება.

ფოკუს ჯგუფის შეხვედრები ჩატარდა სამ სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან: 1. დაბრუნებული მიგრანტები - იგულისხმებიან ისინი, ვინც საზღვარგარეთ ცხოვრობდა, მუშაობდა ან სწავლობდა სულ ცოტა, სამი თვის განმავლობაში; 2. პოტენციური მიგრანტები - იგულისხმება ისინი, ვისაც აქვთ საზღვარგარეთ სწავლის ან სამუშაო მიზნით, შედარებით ხანგრძლივად, წასვლის სურვილი; 3. აქტიური მოქალაქეები - პარტნიორ ორგანიზაციებში (ჯვარის, კოდის, ჩოხატაურისა და ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრებში) არსებული „აქტიურ მოქალაქეთა კლუბის“ წევრები. კვლევის ფარგლებში, სულ ჩატარდა 11 ფოკუს ჯგუფი. თითოეულ ჯგუფში საშუალოდ 6-7 მონაწილე იყო, ხოლო საერთო ჯამში, 74 ადამიანმა მიიღო ფოკუს ჯგუფის შეხვედრაში მონაწილეობა.

თვისებრივი მონაცემები დამუშავდა კონტენტ-ანალიზის მეთოდის გამოყენებით. სუბიექტურობის თავიდან ასაცილებლად, მასალა გაანალიზდა ორი სხვადასხვა მკვლევრის მიერ, ხოლო მიღებული შედეგები შედარდა ერთმანეთს და შემდეგ გაერთიანდა.

კვლევის ფარგლებში, გაანალიზდა მეორადი მონაცემებიც. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე გამოიკვეთა სამიზნე მუნიციპალიტეტში მოსახლეობისა და ემიგრანტების რაოდენობა. ხოლო კავკასიის კვლევის რესურს ცენტრის, 2015 წლის კავკასიის ბარომეტრიდან დამუშავდა ემიგრაციაში წასვლის მსურველთა დემოგრაფიული მახასიათებლები.

კვლევის შეზღუდვები

ქვევით მოცემულია კვლევის ძირითადი შეზღუდვები:

- კვლევის საწყის ეტაპზე დაგეგმილი იყო პოტენციური და დაბრუნებული მიგრანტების პროფილების გაანალიზება, მათი განათლების დონის ჭრილში. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭირო იყო ჩატარებულიყო რაოდენობრივი კვლევა (გამოკითხვა რეპრეზენტატული შერჩევით). თუმცა, კვლევის მცირე ბიუჯეტიდან გამომდინარე, რაოდენობრივი კვლევის ჩატარება შეუძლებელი გახდა. შესაბამისად, აღნიშნული ამოცანა კვლევის ფარგლებში ვერ მიიღწა.

- კვლევის ფარგლებში, ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტში დაგეგმილი იყო ფოკუს ჯგუფების ჩატარება აქტიურ მოქალაქეებთან. აღნიშნულ ჯგუფთან ვერ მოხერხდა შეხვედრის ჩატარება ჯვარის ზრდასრულთა განათლების ცენტრში. სანაცვლოდ ინტერვიუ ჩატარდა ცენტრის დირექტორთან.

- კვლევაში, წინასწარ იყო განსაზღვრული, თუ რა მახასიათებლები უნდა ჰქონოდათ პოტენციურ მიგრანტებს. თუმცა, ამ მახასიათებლების მქონე პირების შერჩევა და დასწრება ფოკუს ჯგუფზე, სირთულეს წარმოადგენდა.

- პროექტში ჩართულია საქართველოს ხუთი მუნიციპალიტეტი: წალენჯიხა, ჩოხატაური, ლაგოდეხი, თეთრიწყარო და მარნეული. კვლევის ფარგლებში, არ ჩატარებულა შეხვედრები მარნეულის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან, რადგან ამ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის პროექტში ჩართვა ხორციელდება, თეთრიწყაროს მინიციპალიტეტში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციის, კოდის ზრდასრულთა განათლების ცენტრის გზით.

მიგრაციის მართვა საქართველოში

საქართველოდან ემიგრაციის მიზეზები საკმაოდ კომპლექსურია. 90 - იან წლებში ემიგრაცია ძირითადად გამოწვეული იყო პოლიტიკური არასტაბილურობით და შესაბამისად რთული სოციალური თუ ეკონომიკური ფაქტორებით. ამ ეტაპზე, ქვეყანამ მიაღწია სტაბილურ პოლიტიკურ მდგომარეობას, თუმცა სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები (ისევე როგორც განათლების მიღების სურვილი და სხვა) კვლავ რჩება ემიგრაციის მნიშვნელოვან მამოტივირებელ ძალად. მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებმა და ასევე, საქართველოში სტაბილურობისა და უსაფრთხოების გაზრდამ, ხელი შეუწყო ქვეყანაში იმიგრაციის გაზრდასაც, როგორც ახლო აღმოსავლეთის ასევე, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან.[1]

მიგრაციის მართვა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, საქართველოს ევროინტეგრაციისკენ მიმართული პოლიტიკისთვის. შესაბამისად, სახელმწიფო, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევით, მნიშვნელოვანი დადებითი ცვლილებები შეიმჩნევა, მიგრაციის მართვის კუთხით. მიუხედავად ამისა, მიგრაციის საკითხები კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ქვეყნისთვის.

როგორც აღინიშნა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველომ გარკვეულ პროგრესს მიაღწია, მიგრაციის მართვის კუთხით, როგორც ინსტიტუციურ, ასევე, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების კუთხით. მიუხედავად პროგრესისა, დაინტერესებული მხარეების მიერ გამოიყო მთელი რიგი ნაბიჯები, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში მიგრაციის მართვის გაუმჯობესებას, განსაკუთრებით კი რეგიონულ ჭრილში. ამ თავში მიმოვიხილავთ, როგორც მიგრაციის მართვის სტრატეგიულ და ინსტიტუციურ ჩარჩოებს, ასევე, არსებულ სტატისტიკასა და საქართველოში დაბრუნებული მიგრანტებისთვის მიმართულ პროგრამებს.

მიგრაცია, როგორც ერთ-ერთი პრიორიტეტული სფერო, გამოყოფილია საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებულ სტრატეგიული დოკუმენტებში („საქართველო-

[1] ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე იზრდება თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილთა და სწავლის თუ დასაქმების მიზნით საქართველოში ჩამოსულ ადამიანთა რიცხვი (მიგრაციის პროფილი, 2015).

ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება“ და „ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა“). აღებული ვალდებულებების შესასრულებლად, 2013 წლიდან შემუშავდა სტრატეგიული დოკუმენტები, როგორიცაა მიგრაციის სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა (2013-15; 2016-20 წწ). გარდა ამისა, მიგრაციის საკითხები ასახულია სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურების სტრატეგიულ დოკუმენტებში[2].

2016-2020 წლის მიგრაციის სტრატეგია მოიცავს 5 წლიან პერიოდს, რომელსაც გააჩნია განხორციელების მექანიზმი სამოქმედო გეგმის სახით, რომელიც თავის მხრივ ფარავს 2 წლიან პერიოდს. მიგრაციის სტრატეგიის ერთ-ერთ სამიზნე ჯგუფად, განიხილება საქართველოში დაბრუნებული მიგრანტები და შესაბამისად, ერთ-ერთი პრიორიტეტული სფეროა დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაცია და მათი პოტენციალის გამოყენება ქვეყნის სოციალური-ეკონომიკური განვითარებისთვის. ლეგალური მიგრაციის მართვის მიზნით, დოკუმენტი ხაზს უსვამს მოსახლეობის ცნობიერების გაზრდას სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესებისა და შედეგების შესახებ. ასევე, მიგრაციის სტრატეგია განიხილავს ამ პროცესში ადგილობრივი თვითმმართველობის როლს. კერძოდ, მუნიციპალიტეტების თანამშრომლების გადამზადება მიგრაციის საკითხებზე და მუდმივი საჯარო შეხვედრების გამართვა ადგილობრივ მოსახლეობასთან.[3]

მიგრაციის ეფექტური მართვისა და სტრატეგიის სამოქმედო გეგმის კოორდინირებული განხორციელების მიზნით, ჩამოყალიბდა ინსტიტუციური მექანიზმი, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სახით. კვლევის ფარგლებში, გამოკითხული რესპონდენტების მიერ დადებითად შეფასდა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის როლი და მუშაობა მიგრაციის მართვის კუთხით. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია 2010 წელს შეიქმნა. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის მიზანია, მიგრაციის სფეროში, საქართველოს მთავრობის ერთიანი პოლიტიკის განსაზღვრა და მიგრაციული პროცესების მართვის გაუმჯობესება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, მიგრაციის სამთავრობო კომისია კოორდინაციას უწევს შესაბამისი უწყებების მუშაობას. 2012 წელს, ჩამოყალიბდა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნო. სამდივნოს ფუნქციაა, ხელი შეუწყოს კომისიის რეგულარულ საქმიანობას და უზრუნველყოს მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ექსპერტული დასკვნების მომზადება [4] . კომისიის სამდივნო ფუნქციონირებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების

[2]როგორიცაა მიგრაციის რისკების ანალიზის სისტემის კონცეფცია, რომელსაც თან ერთვის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული 2015-2018 წლების შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგია; საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013-2020 წწ.); ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ სტრატეგია (2014-2017 წწ.) და ახლახან მიღებული, პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის რეფორმის სტრატეგია (2015-2017 წწ.). დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ასევე მუშაობს „საქართველოს დიასპორებთან ურთიერთობის სტრატეგიაზე“ (მიგრაციის პროფილი, 2015).

[3]მიგრაციის სტრატეგია 2016-2020 წწ.

[4]მიგრაციის სამთვრობო კომისიის მიერ 2015 წელს მომზადდა მიგრაციის პროფილი, რომელიც მიგრაციის შესახებ არსებულ ანალიტიკურ ინფორმაციას უყრის თავს.

სააგენტოში. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია აერთიანებს 13 სახელმწიფო უწყების მაღალი რანგის წარმომადგენლებს. კომისიის თავმჯდომარეა იუსტიციის მინისტრი, ხოლო თანათავმჯდომარე - შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე. კომისიაში საკონსულტაციო სტატუსის მქონე 12 ორგანიზაციაა: 7 საერთაშორისო ორგანიზაცია და 5 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია[5]. კომისიაში სხვადასხვა მიმართულებით 6 თემატური სამუშაო ჯგუფი მოქმედებს, მათ შორის ერთ-ერთი თემატური ჯგუფი მუშაობს დაბრუნებული მიგრანტების სარეინტეგრაციო საკითხებზე. დაბრუნებულ მიგრანტების ინტერესებს წარმოადგენენ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ამ საკითხებზე მუშაობენ, თუმცა თვითონ დაბრუნებული მიგრანტები არ არიან ჩართულები.[6]

აღსანიშნავია რომ ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალიტეტის) წარმომადგენლები დამოუკიდებლად არ არიან წარმოდგენილნი სამთავრობო კომისიაში და არც სამუშაო თემატურ ჯგუფებში. თუმცა, ადგილობრივ თვითმმართველობას სამთავრობო კომისიაში წარმოადგენს ინფრასტრუქტურის სამინისტრო. [7] ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მიგრაციის მართვა საქართველოში არის უმეტესწილად ცენტრალიზებული და ნაკლებად ხდება უფლებამოსილების დელეგირება ადგილობრივ დონეზე.

მიგრაციის სტატისტიკა

2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, 2002 წლის აღწერის მონაცემებთან შედარებით, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა შემცირდა. 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს მოსახლეობა 3,729,500 ადამიანს შეადგენს. [8] აღწერის პერიოდში მიიღეს ინფორმაცია ემიგრანტების შესახებ[9]. აღწერის მიხედვით, ემიგრანტთა რაოდენობამ შეადგინა 88,5 ათასი კაცი, მათ შორის 45,4 % კაცი, ხოლო 54.6% ქალი. რეგიონების ჭრილში, ემიგრანტების უმრავლესობის წინა საცხოვრებელი ადგილი თბილისი, იმერეთი და ქვემო ქართლი წარმოადგენდა. ემიგრანტების ძირითადი ნაწილი 20-54 ასაკობრივ კატეგორიას წარმოადგენს. აღწერის შედეგების მიხედვით, ემიგრანტთა დიდი ნაწილი ცხოვრობს რუსეთის ფედერაციაში (21.7%)[10], საბერძნეთში (15.9%) და თურქეთში (11.2%). საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს მოსახლეობის რაოდენობასა და ემიგრანტების განაწილებას რეგიონების ჭრილში.

---

[5] მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია

[6] მიგრაციის ცენტრი

[7] ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის არ ხდება მუდმივი კოორდინაცია (სატელეფონო ინტერვიუ, ინფრასტრუქტურის სამინისტრო).

[8] სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მოსახლეობის 2014 წლის აღწერის ძირითადი შედეგები

[9] ჯეოსტატის მიერ გამოყენებული განსაზღვრებით „ემიგრანტი წარმოადგენდა 2002 წლის 1 იანვრიდან საქართველოდან უცხო სახელმწიფოში მუდმივად ან დროებით საცხოვრებლად წასულ პირს, რომლის არყოფნა საქართველოში აღემატებოდა 12 თვეს ან, რომელიც აპირებდა საზღვარგარეთ დარჩენას 12 თვეზე მეტ ხანს“.

[10] მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით რუსეთის ფედერაციაში 628,973 ათასი; საბერძნეთში 13,254 ათასი, ხოლო თურქეთში 7,295 ათასი ქართველი ემიგრანტი ცხოვრობს(State of Migration, ENIGMA, 2015)

მუნიციპალიტეტი	მოსახლეობის რიცხოვნობა	ემიგრანტების განაწილება
ჩოხატაური	19,001	94
ლაგოდეხი	41,678	736
წალენჯიხა	26,158	609
თეთრიწყარო	21,127	289

წყარო: ჯეოსტატი, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთო აღწერა[11]

2015 წლის მონაცემებით მიგრაციის სალდო უარყოფითია (-3.4), რაც ნიშნავს იმას, რომ ქვეყანას უფრო მეტი ადამიანი ტოვებს, ვიდრე შემოდის. მსგავსი ტენდენცია შეინიშნება 2012 წლიდან დღემდე. აღსანიშნავია, რომ ვინაიდან სტატისტიკის ეროვნულმა ბიურომ 2012 წლიდან შეცვალა მეთოდოლოგია, რთულია მიგრაციის სრული ტენდენციისა და ტრენდების განსაზღვრა წლების ჭრილში.

დაბრუნებული ემიგრანტების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, თითქმის არ მოიპოვება, მხოლოდ შესაძლებელია იმ ემიგრანტების რაოდენობის დადგენა, რომლებმაც ისარგებლეს სახელმწიფო თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შეთავაზებული პროგრამებით.

ამ ეტაპზე, მიგრაციის მართვის კუთხით ერთ-ერთ გამოწვევად რჩება, სანდო სტატისტიკური მონაცემების მოგროვება და ანალიზი (მათ შორის რეგიონულ ჭრილში). აღნიშნული საკითხის მოგვარების მიზნით, მიგრაციის სტრატეგიაში აღნიშნულია ერთიანი ანალიტიკური სისტემის შემუშავება, რომელიც თავს მოუყრის სხვადასხვა სტრუქტურაში არსებულ მონაცემებს და გაამარტივებს მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზის პროცესს. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა (შესაბამისი შესაძლებლობების გაძლიერების შემდგომ) შესაძლებელია განიხილებოდეს რეგიონულ დონეზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტორად მონაცემების მოგროვებისა და ანალიზის პროცესში.

დაბრუნებულ მიგრანტებზე მიმართული პროგრამები

საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, მუშაობენ, როგორც სამთავრობო, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციები. არსებული პროგრამები საკმაოდ მრავლისმომცველია, თუმცა არ არის სრულად ხელმისაწვდომი ყველა კატეგორიის დაბრუნებული მიგრანტებისთვის, არსებული კრიტერიუმების, ინფორმაციის ნაკლებობის თუ სხვა მიზეზების გამო. ასევე, არ არსებობს ინფორმაცია იმაზე თუ, რამდენი დაბრუნებული მიგრანტია ქვეყანაში და რა ნაწილის, საჭიროების დაკმაყოფილება ხდება

[11]სტატისტიკის ეროვნული სამსახური მიგრაციის სტატისტიკას ითვლის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიწოდებული საზღვრის კვეთის ინფორმაციის საფუძველზე. ემიგრანტად ითვლება ყველა ის პირი ვინც მინიმუმ ექვსი თვე და ერთი დღე იყო წასული საზღვარგარეთ. შესაბამისად, თუ კონკრეტული პირი სეზონურად გადადის სამუშაოდ მხოლოდ სამი თვით, ეს მონაცემებში გათვალისწინებული არ არის.

არსებული პროგრამებით. ხელმისაწვდომია, მხოლოდ მიმართვიანობის შედეგად შერჩეულ ბენეფიციართა რაოდენობა.

2015 წლიდან სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის მხარდასაჭერად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა თანხა შესაბამისი პროგრამებისა და პროექტების განსახორციელებლად. აღნიშნული პროგრამები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადააადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს [12] მეშვეობით ხორციელდება. გათვალისწინებულია სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტებისთვის შემდეგი სერვისების მიწოდება:

- სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების დაფინანსება; ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია;
- სოციალური პროექტების დაფინანსება, როგორც შემოსავლის წყაროს გაჩენის მიზნით, ასევე თვითდასაქმების ხელშეწყობის მიზნით;
- იურიდიული დახმარება (კონსულტაცია სამართლებრივ საკითხებზე; წარმომადგენლობის გაწევა შესაბამის ორგანოებში; ფასიანი სახელმწიფო მომსახურების ანაზღაურება და სხვა.)
- დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფა განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში;
- სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამაში ბენეფიციართა ჩართვის ხელშეწყობა;

საგრანტო პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ საქართველოს მოქალაქეები ან მოქალაქეობის არმქონე პირები (საქართველოში მუდმივად ცხოვრების ნებართვით), რომლებიც:

- საზღვარგარეთ იმყოფებოდნენ ერთ წელზე მეტი ვადით არალეგალურად, ან საზღვარგარეთ ჰქონდათ განაცხადი თავშესაფრის მიღებაზე, ან სარგებლობდნენ ჰუმანიტარული სტატუსით;
- სამშობლოში დაბრუნებიდან 1 წლის განმავლობაში დარეგისტრირდებიან „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების“ სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის მიზნით.

აღსანიშნავია ისიც, რომ თითოეული მიმართულება თავის მხრივ ფარავს ქ. თბილისს, ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის, აჭარისა და გურიის რეგიონებს. დანარჩენ რეგიონებში დაბრუნებულ მიგრანტთა

[12]წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადააადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსვებ-გვერდი.

რეინტეგრაციის პროცესის მხარდაჭერას მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) ახორციელებს.

სახელმწიფო სარეინტეგრაციო პროგრამას ახორციელებენ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებმაც გაიმარჯვეს სახელმწიფო ტენდერში.[13]

როგორც აღინიშნა, გარდა სამთავრობო პროგრამებისა, დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის პროგრამებს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციაც (IOM) ახორციელებდა[14]. 2014 წლიდან 2016 წლამდე ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, მობილური ცენტრები ფუნქციონირებს საქართველოს ოთხ ქალაქში (თბილისი, ქუთაისი, თელავი, ბათუმი). პროექტის დასრულების შემდეგ, მობილური ცენტრები საქართველოს მთავრობის რეინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში, გააგრძელებს ფუნქციონირებას. მთლიანობაში, 2 წლის მანძილზე, 6,252 ადამიანმა მიმართა მობილურ ცენტრებს სხვადასხვა სერვისის მისაღებად (სამედიცინო, დროებითი საცხოვრისი, პროფესიული გადამზადება, ბიზნეს კონსულტაცია და სხვა), აქედან 2008[15]ადამიანს გაეწია სხვადასხვა სახის მომსახურება მათი საჭიროების მიხედვით. აღნიშნული პროექტს, საფუძვლად დაედო საქართველოს მთავრობის მიერ, ინიცირებულ დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის პროგრამას. აღსანიშნავია, ამ ორი ორგანიზაციის წარმატებით ურთიერთანამშრომლობა დაბრუნებული მიგრანტების საჭიროებების იდენტიფიცირებისა და გადაჭრის კუთხით.

მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების შეფასება[16]

მიგრაციის მართვის კუთხით, ადგილობრივი თვითმმართველობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტორი, როგორც სახელმწიფო პროგრამების განხორციელების ასევე, ინფორმაციის გავრცელების კუთხით. მიგრაციის სტრატეგიაში, ზოგადად, ხაზგასმულია მუნიციპალიტეტების როლი, მათი კვალიფიკაციის ამაღლება მიგრაციის საკითხებზე. წინამდებარე კვლევის შედეგებიც ადასტურებს, რომ მნიშვნელოვანია ცენტრალიზებული მიგრაციის მართვის დელეგირება ადგილობრივ დონეზეც და შესაბამისი კომპეტენციების განვითარება.

---

[13]ა(ა)იპ საზოგადოებრივი დამცველი; ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია „ტოლერანტი“; ა(ა)იპ საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“; ა(ა)იპ წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი; ა(ა)იპ ახალგაზრდა ადვოკატები.

[14]ინტერვიუ: ციური ანთაძე (მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია); საინფორმაციო ბუკლეტი ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე.

[15]აღნიშნული რაოდენობა იდენტიფიცირებულია IOM – ის მიერ როგორც ბენეფიციართა რაოდენობა

[16]თეთრიწყაროს, ლაგოდეხის, წალენჯიხისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტები

კონკრეტულად კი, კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ წალენჯიხის, ლაგოდეხის, თეთრიწყაროსა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებს არ აქვთ მიგრაციის პროცესების მართვის პოლიტიკა. შესაბამისად, მიგრაციის საკითხები არ არის გათვალისწინებული არც სტრატეგიაში, არც სამოქმედო გეგმაში და, შესაბამისად, არც - ბიუჯეტში. მუნიციპალიტეტების ფარგლებში არ ხორციელდება პროექტი, რომელიც უშუალოდ მიგრანტების საჭიროებებისაკენ და პრობლემებისკენ არის მიმართული.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების თქმით, მიგრაცია ამ ეტაპზე მწვავე პრობლემას არ წარმოადგენს მათი მუნიციპალიტეტებისათვის, ვინაიდან, ინფრასტრუქტურული და სოციალური პრობლემები, ბევრად უფრო კრიტიკულია, თუმცა, იქვე აღნიშნავენ, რომ ზოგადად, შრომითი მიგრაცია არ არის სასურველი, რადგან მუნიციპალიტეტი კარგავს შრომისუნარიან მოსახლეობას, რაც მის განვითარებაზე ნეგატიურად აისახება.

კვლევის სამიზნე მუნიციპალიტეტებში მიგრაციის მასშტაბებზე საუბარი ძალიან რთულია, რადგან წარმომადგენლები არ ფლობენ მიგრაციაზე სტატისტიკურ თუ ანალიტიკურ ინფორმაციას. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, საქართველოს კანონში, მითითებულია, რომ თვითმმართველი ერთეულის რწმუნებული ვალდებულია, პერიოდულად წარუდგინოს გამგებელს ინფორმაცია მიგრაციის შესახებ (მუხლი 42.4.დ). თუმცა, რესპონდენტების თქმით, მსგავსი რამ ჯერ არ დასჭირვებიათ.

> სამწუხაროდ, არ გვაქვს სტატისტიკის ინფორმაცია. ანუ, არ ხდება ამგვარი ინფორმაციის შეგროვება. ჩემს პრაქტიკაში არ გვქონია და არც არავის არ უთხოვია, თორემ გავაკეთებდით მაგას.
>
> [რწმუნებული, სოფ. ლელიანი]

რწმუნებულის აპარატის მთავარი სპეციალისტის შეფასებით, ქ. ჯვარში მიგრაციის მაღალი დონე თვალშისაცემია:

> გამომდინარე იქიდან, რომ [უბნის რწმუნებულის] მოვალეობაში არ შედის მიგრაციის მიმართულებით მუშაობა, ამდენად რაიმე სახის სტატისტიკას არ ვფლობ და სიტუაციის შეფასება შემიძლია, მხოლოდ პირადი დაკვირვებების მიხედვით. ზაფხულში იგრძნობთ, რომ ქალაქი დაცარიელებულია, ვერც ქალს და ვერც კაცს დაინახავ ქუჩაში, ანუ წასულები არიან სეზონური სამუშაოებისთვის ახლომდებარე აფხაზეთში ან თურქეთში.
>
> [ჯვარის რწმუნებულის აპარატის წარმომადგენელი].

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობაც არ ფლობს მიგრაციის შესახებ ემპირიულ მონაცემებს, თუმცა, ჩოხატაურში გამგებლის წარმომადგენლის პირადი დაკვირვებით, ახალგაზრდების დაახლოებით 50% მიდის სეზონურ მიგრაციაში. თავად, რაიონის გამგებელი თვლის, რომ დღეისათვის მიგრაცია იმდენად დიდ პრობლემას არ

წარმოადგენს, რომ ამაზე ცალკე სამუშაო ჯგუფი გამოყონ და თან ამჟამად, მუნიციპალიტეტს უფრო მნიშვნელოვანი პრობლემები აწუხებს.

მუნიციპალიტეტში სოციალური და ინფრასტრუქტურული პრობლემების სიმწვავიდან გამომდინარე, სწორედ ეს მიმართულებები წარმოადგენს პრიორიტეტს.

> ამ ეტაპზე, ჩვენ გვაქვს ორი მთავარი მიმართულება: ინფრასტრუქტურული ანუ სოფლებში გზების გაყვანა და სასმელი წყლის პრობლემის მოგვარება და სოციალური პროგრამების დაფინანსება. ეს გამომდინარე იქიდან, რომ სიღარიბის ისევ მაღალი დონეა. ასეთი პრობლემების ფონზე, თქვენ მიერ დასახელებული პრობლემა ძალიან მიზერულია.
>
> [ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი]

მიგრაცია არ წარმოადგენს პრიორიტეტს მუნიციპალიტე-ტებისთვის

როგორც ზევით აღინიშნა, კვლევის სამიზნე მუნიციპალიტეტებში არ ხორციელდება პროექტები უშუალოდ მიგრანტებისათვის, თუმცა მუნიციპალიტეტების წარმომადგენელები საუბრობენ, რომ მოსახლეობის ამ სეგმენტს მოიცავენ სოციალური პროგრამების ფარგლებში.

> ჩვენი მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ განსაზღვრულ სოციალურ პაკეტში გათვალისწინებულია, როგორც სოციალურად დაუცველების, ასევე მიგრირებულების და სხვა დანარჩენი ბენეფიციარების დახმარების გაწევა.
>
> [თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი]

> დევნილთა განყოფილება მუშაობს ყველა სოციალურ საკითხზე, იმიტომ რომ ჩვენი სამსახური სოციალური სამსახურია და აქ ჩვენ არ ვანსხვავებთ არავის, ყველასთან ვმუშაობთ, ყველას ვაწვდით ინფორმაციას ამა თუ იმ საკითხზე.
>
> [წალენჯიხის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი]

მართალია, კვლევის სამიზნე მუნიციპალიტეტები არ მუშაობენ გარე მიგრაციის მიმართულებით, მაგრამ მათ აქვთ ეკო მიგრანტების დახმარების პროგრამა. მაგალითად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში არის დიდი რაოდენობის ეკო-მიგრანტები, რომლებიც საჭიროებენ იურიდიულ დახმარებას. ეს საკითხები, ძირითადად მიწის საკუთრებაში გაფორმებას ეხება. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი ეხმარება მათ ამ პრობლემის მოგვარებაში.

აღსანიშნავია, რომ არც ერთ მუნიციპალიტეტს არ აქვს დეპარტამენტი, რომელიც მუშაობს უშუალოდ მიგრაციის მიმართულებით. თუმცა, მუნიციპალიტეტები ხელს უწყობენ მიგრაციის საკითხებზე ინფორმაციის გავრცელებას. ერთი მხრივ, სხვადასხვა სამინისტროები (მაგ. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით

გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, აგრეთვე საქართველოს იუსტიციის სამინისტრო) მართავენ შეხვედრებს მიგრაციის საკითხებზე, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დახმარებით, მათივე შენობებში. მეორე მხრივ, ზოგიერთ მუნიციპალიტეტში (მაგ. წალენჯიხის მუნიციპალიტეტში) გამოყოფილი არის კონკრეტული კადრი, რომელიც პასუხისმგებელია, დაინტერესებულ პირებს მიაწოდოს ინფორმაცია მიგრაციის სფეროში მომუშავე ორგანიზაციების შესახებ. ანუ მუნიციპალიტეტი ერთგვარად ითავსებს ინფორმაციის მიმწოდებლის ფუნქციას.

> ჩვენ ინფორმირებულები ვართ ამ საკითხის ირგვლივ, ვიცით რა ხდება და შეძლებისდაგვარად, ვცდილობთ ხალხს კონსულტაცია გავუწიოთ, ვუთხრათ, მივასწავლოთ და გადავამისამართოთ იმ ადამიანებთან ვინც უფრო გაშლილად ესაუბრება ამ საკითხზე.
>
> [წალენჯიხის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი]

თუმცა, პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ მიმართვიანობა საზოგადოების მხრიდან არის ძალიან დაბალი. მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების თქმით, თვეში 3-4 ადამიანი მიდის მუნიციპალიტეტში მიგრაციის საკითხებზე ინფორმაციის მისაღებად, ხოლო მიმართვის საკითხები, ძირითადად იურიდიული სახისაა:

> ჩამოდიან აქ, ძირითადად მიწების რეგისტრაციაზე. ვინც [საზღვარგარეთ] არის ნამყოფი ეგ პრობლემები აქვთ, იმიტომ რომ წლების განმავლობაში მიწა რეგისტრირებული არ არის. რომ იციან, არსებობს უფასო რეგისტრაციის პროგრამა - მოდიან.
>
> [რწმუნებული, სოფ. კოდა]

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები გამოხატავენ მზაობას, მიგრაციის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად. ისინი თვლიან, მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის სასარგებლო იქნება თუ მათი კადრები მეტად გადამზადდებიან მიგრაციის საკითხებში. ეს საკითხი არ წარმოადგენს მათთვის განსაკუთრებულ საჭიროებას, მაგრამ, როგორც თავადაც ამბობენ : ზედმეტი არ იქნება.

> მეტი ცოდნა არასდროს არის ცუდი და აქტუალური ყოველთვის არის ეს მიგრაციის პრობლემა. რაც უფრო მეტი გვეცოდინება, თუნდაც მუნიციპალიტეტს და მომუშავეებს, მით უფრო უკეთესი იქნება. მივესალმები.
>
> [რწმუნებული, სოფ. ლელიანი]

მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები თვლიან, რომ შრომითი მიგრაციის გამო, სამუშაო ძალის გადინება ხდება მუნიციპალიტეტიდან, რასაც ნეგატიურად აფასებენ. თუმცა, საუბრობენ მიგრაციის პოზიტიურ მხარეებზეც. კერძოდ, კი შრომითი მიგრაცია ბევრი ოჯახისათვის იქცა ძალიან მნიშვნელოვან შემოსავლის წყაროდ.

> დადებითი მხარე, როგორ არ აქვს! იქიდან შემოსული რესურსი მათი შვილების, შვილიშვილების განათლებაზე და ჯანმრთელობაზე იხარჯება. სხვათაშორის ოჯახებითაც ვითარდებიან, მერე თვითონ შვილებიც ეკიდებიან რაღაც ბიზნესს. მე ვიცი რამოდენიმე ოჯახი, რომლებმაც იქიდან გამოგზავნილი ფულით ააწყეს ბიზნესი. ფერმები გააკეთეს.
>
> [რწმუნებული, სოფ. კოდა]

ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა ისიც, თუ რა წვლილი შეიძლება შეიტანონ მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებმა მიგრაციის პროცესებში. მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების თქმით, მათ შესაძლებელია, ჰყავდეთ მიგრაციის საკითხებში კომპეტენტური, პირი, რომელსაც ექნება სრულყოფილი ინფორმაცია და დაინტერესებულ პირებს მიაწვდის ამ ინფორმაციას. ამ გზით მოსახლეობისთვის საჭირო ინფორმაცია მეტად ხელმისაწვდომი იქნება. აღნიშნული კადრი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ საქართველო ვიზალიბერალიზაციას მიიღებს.

> ჩვენ რომ გვყავდეს ისეთი წარმომადგენელი, რომელიც დაეხმარება მოქალაქეებს, დღეს იქნება თუ ხვალ იქნება, ვიზალიბერალიზაცია როცა მოხდება, ხალხი უფრო მეტად დაიწყებს სიარულს. თან ჩვენ ერთი კადრიც გაგვიჩნდება და თან დასაქმდება ადამიანი. ბევრ სასიკეთო რამეს გააკეთებს.
>
> [რწმუნებული, სოფ. კოდა]

რომ შევაჯამოთ, მუნიციპალიტეტებს არ აქვთ ზუსტად განსაზღვრული როლი მიგრაციის მართვის პროცესში; არ ჰყავთ სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრი, რომ ინფორმაცია გაავრცელოს პროგრამებზე და ვიზალიბერალიზაციაზე; მეორე მხრივ, კი საჭიროებასაც ნაკლებად ხედავენ ვინადიან დაბალი მიმართვიანობა აქვთ და ადგილზე სხვა პრიორიტეტებია დასახული.

ემიგრაციაში წასვლის სურვილი და მასთან დაკავშირებული ფაქტორები

ემიგრაციაში წასვლის სურვილთან დაკავშირებული ფაქტორების გამოსავლენად გამოვიყენეთ კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის 2015 წლის კვლევა. კვლევის მიხედვით, კითხვას, თუ ისურვებდა სხვა ქვეყანაში მუდმივი ცხოვრების მიზნით წასვლას, მოსახლეობის 88% უარყოფითად პასუხობს, მაშინ როდესაც დროებით ემიგრაციაში წასვლის სურვილს მოსახლეობის 46% გამოხატავს. ემიგრაციაში წასვლის სურვილი დაკავშირებულია გარკვეულ დემოგრაფიულ, ეკონომიკურ თუ სოციალურ, მახასიათებლებთან, როგორიცაა ასაკი, სქესი, დასაქმების სტატუსი, შემოსავალი, საზღვარგარეთ ნაცნობების ყოლა და ა.შ. კავკასიის ბარომეტრის მონაცემების მიხედვით, რესპონდენტის ასაკი ნეგატიურ კორელაციაშია ემიგრაციასთან მიმართებაში, როგორც დროებით, ასევე მუდმივად წასვლის სურვილთან, რაც იმას ნიშნავს, რომ ასაკის ზრდასთან ერთად ინტერესი მცირდება(დროებითი $r=-.42$; $p<.01$; (მუდმივი $r=-.14$; $p<.01$). ემიგრაციაში წასვლის სურვილი დაკავშირებულია სქესთანაც. კონკრეტულად კი, როგორც დროებით, ასევე მუდმივ ემიგრაციაში წასვლის სურვილს ქალებთან შედარებით უფრო მამაკაცები გამოხატავენ. ასევე, შედეგები აჩვენებს, რომ რესპონდენტის საცხოვრებელი ადგილი დაკავშირებულია ემიგრაციაში წასვლის სურვილთან, ქალაქად მცხოვრები რესპონდენტები უფრო გამოხატავენ ემიგრაციაში წასვლის სურვილს, ვიდრე რესპონდენტები, რომლებიც სოფლად ცხოვრობენ.

ემიგრაციაში წასვლის სურვილი, ასევე, დაკავშირებულია ეკონომიკურ ფაქტორებთან როგორიცაა დასაქმების სტატუსი, შემოსავალი და სესხის ქონა. კვლევის შედეგების მიხედვით, რესპონდენტები, რომლებიც არ არიან დასაქმებულები უფრო გამოხატავენ მუდმივ ემიგრაციაში წასვლის სურვილს. თუმცა აღსანიშნავია, რომ დროებით ემიგრაციაში წასვლის სურვილს თითქმის თანაბრად გამოხატავენ როგორც დასაქმებული (დასაქმებული ან თვითდასაქმებული) ასევე, უმუშევარი რესპონდენტები. განსაკუთრებით აღსანიშნავია რომ სტუდენტები, რომლებიც არ არიან დასაქმებულები 90% გამოთქვამს სურვილს დროებით დატოვოს ქვეყანა. რაც შეეხება შემოსავალს, მუდმივად წასვლის სურვილის შემთხვევაში შემოსავალს არ აქვს მნიშვნელოვანი გავლენა, ხოლო დროებით წასვლის სურვილს უფრო მეტად მაღალი შემოსავლის მქონე რესპონდენტები გამოხატავენ. ანალოგიურად, სესხის ქონა და დროებით წასვლის სურვილი კავშირშია ერთმანეთთან. კონკრეტულად კი, რესპონდენტების უმრავლესობა, რომელსაც აქვს სესხი, გამოხატავს დროებით წასვლის სურვილს (52%).

ისეთი ფაქტორი, როგორიცაა ახლო ნათესავის ან მეგობრის უცხოეთში ყოფნა, დაკავშირებულია ემიგრაციაში, როგორც მუდმივად ასევე, დროებით წასვლის სურვილთან. რესპონდენტები, რომლებსაც ჰყავთ ახლო ნათესავი საზღვარგარეთ უფრო მეტად გამოხატავენ მუდმივად წასვლის სურვილს (ახლო ნათესავი 12%; მეგობარი 14%), ვიდრე ის რესპონდენტები, რომლებსაც არ ჰყავთ არავინ საზღვარგარეთ (ახლო ნათესავი 6%; მეგობარი 6%). ანალოგიურად, რესპონდენტები, რომლებსაც ჰყავთ ახლო ნათესავი საზღვარგარეთ

უფრო მეტად გამოხატავენ დროებით წასვლის სურვილს (ახლო ნათესავი 53 %; მეგობარი 60%), ვიდრე ის რესპონდენტები, რომლებსაც არავინ ჰყავთ საზღვარგარეთ (ახლო ნათესავი 31%; მეგობარი 32%). შესაბამისად, კვლევის მიხედვით, საზღვარგარეთ სოციალური კავშირების ქონას მნიშვნელოვანი კავშირი აქვს ქვეყნიდან წასვლის სურვილთან.



ცხრილი #1: წასვლის სურვილსა და საზღვარგარეთ სოც. კავშირს შორის მიმართება (%)

მიგრაციაში წასვლის ძირითადი მიზეზები

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის 2015 წლის კვლევა, რომელიც ზემოთ იყო განხილული, გვაჩვენებს ზოგადად, მიგრაციასთან დაკავშირებით, რა ტენდენციებია გავრცელებული ქვეყანაში. უფრო კონკრეტული პერსპექტივისათვის კი განვიხილავთ საქართველოს ოთხ მუნიციპალიტეტში: ლაგოდეხში, წალენჯიხაში, თეთრიწყაროსა და ჩოხატაურში, ჩატარებული ფოკუს ჯგუფების შედეგებს, რომლებიც აჩვენებს, თუ რა არის მოსახლეობისათვის გარე მიგრაციის ძირითადი მიზეზები, რა სირთულეებს აწყდებიან ისინი საზღვარგარეთ ყოფნის დროს და რა შედეგები მოაქვს რესპონდენტებისა და მათი ოჯახებისათვის შრომით მიგრაციას.

> მიგრაციის ძირითადი მიზეზები:
>
> - უმუშევრობა
> - დაბალი ანაზღაურება
> - თვითგანვითარების სურვილი

მუნიციპალიტეტებში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების საფუძველზე, გამოიყო ის ძირითადი მიზეზები, რომლებიც უბიძგებს მოსახლეობას წავიდეს მიგრაციაში. უპირველესი და ყველაზე მნიშვენლოვანი მიზეზი არის რთული ეკონომიკური პირობები: უმუშევრობის მაღალი დონე და არასაკმარისი ანაზღაურება. კვლევა აჩვენებს, რომ აღნიშნული მუნიციპალიტეტების მაცხოვრებელთა უმეტესობა, ძირითადად, პენსიასა და სოციალურ დახმარებაზეა დამოკიდებული, რაც ოჯახის შენახვისათვის, საკმარისი არ არის. შესაბამისად, მათ უწევთ საზღვარგარეთ წასვლა და იქ მუშაობა.

> წავედით, რომ ვიმუშავოთ და ორი კაპიკი ჩამოვიტანოთ სახლში, რომ რაღაცა შევიძინოთ, რომ ოჯახში კარგად ვიყოთ და არ გვქონდეს ის გაჭირვება, რაც ახლა გვაქვს.
>
> [დაბრუნებული მიგრანტი, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი]

უმუშევრობით გამოწვეულ სიდუხჭირეს, ემატება ბანკის ვალებიც. რესპონდენტების შეფასებით, ბანკის ვალები ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. ონლაინ სესხების შემოღებამ კი სიტუაცია კიდევ უფრო გაამწვავა, რადგან ახლა პირი უფრო მარტივად იღებს სესხს. აღებული ვალის გადახდა ძალიან ჭირს, გამოსავალი კი უცხოეთში გამგზავრება და მუშაობაა.

> ეს ახალი ონლაინ სესხები, მესიჯებად რომ მოდის კიდევ, საშინელებაა. იმატებენ და იმატებენ ვალებს, ვეღარ იხდიან და მიდიან მერე უცხოეთში ფულის შესაგროვებლად.
>
> [დაბრუნებული მიგრანტი, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი].

სამუშაო ადგილის არქონა, იწვევს იმასაც რომ რესპონდენტები არ გრძნობენ თავს თვითრეალიზებულად. რესპონდენტები თვლიან, რომ ვერ ახერხებენ თავიანთი შესაძლებლობების გამოვლენასა და გამოყენებას. სერიოზულ პრობლემად დასახელდა

სკოლადამთავრებული ახალგაზრდების განვითარების საკითხი, ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა შეფასებით ასეთ ახალგაზრდებს დასაქმების, წარმატების მიღწევისა და რეალიზების შესაძლებლობა არ აქვთ. ადგილობრივი გარემო და პირობები მათ არ უტოვებს არჩევანის საშუალებას, ამიტომ შრომითი მიგრაცია, რჩება ერთადერთ ალტერნატივად.

ვინც წელს სასწავლებელში ვერ ან არ ჩააბარა, ყველა წავიდა თურქეთში სამუშაოდ.

[დაბრუნებული მიგრანტი, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი].

თუკი დაბრუნებულმა მიგრანტებმა ყურადღება ეკონომიკურ პრობლემებზე გაამახვილეს, პოტენციურ მიგრანტთა შორის მყოფმა ახალგაზრდებმა უცხოეთში სწავლის მნიშვნელობაზე ისაუბრეს. აღნიშნულ პროცესში ორი ფაქტორი იჩენს თავს: ერთი, რომ ახალგაზრდა დაინტერესებულია მიიღოს ხარისხიანი განათლება და პრაქტიკა უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტში და მეორე - საქართველოს შრომის ბაზარზე უცხოეთში მიღებული დიპლომის/სერტიფიკატის უპირატესობა.

ჩამოთვლილი მოტივები ორ მსხვილ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: 1. ფინანსური პრობლემები და 2. თვითგანვითარება. ამ ორ ჯგუფს განსხვავებული სპეციფიკა აქვს. პირველი ჯგუფის წარმომადგენლებისათვის, აუცილებელია საბაზისო მოთხოვნების დაკმაყოფილება, შესაბამისად, ის აქტივობები, რომლებიც მათთვის იქნება შეთავაზებული პროექტის ფარგლებში,პირდაპირ კავშირში უნდა იყოს მომავალში მათ მიერ ეკონომიკური სარგებლის ნახვასთან, ხოლო რაც შეეხება მეორე ჯგუფს, მნიშვნელოვანია პიროვნულ განვითარებაზე მიმართული აქტივობების შეთავაზება, რომლებიც ერთგავარად ახალი გამოწვევა იქნება მათთვის და სადაც შეძლებენ თავიანთი შესაძლებლობების გამოცდას.

მიგრაციის სახეები და დანიშნულების ქვეყნები

იქიდან გამომდინარე, რომ წასვლის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა არის ეკონომიკური ფაქტორები, მიგრაციის ტიპი არის ძირითადად შრომითი, ხოლო ძირითადი მიმართულების ქვეყნებად გამოიყო: თურქეთი, საბერძნეთი, რუსეთი,იტალია, ესპანეთი, კვიპროსი, დაისრაელი.

მიგრაციის ტიპი, ძირითადად, **შრომითია**

რაც შეეხება, მიგრაციის ფორმებს, რესპონდენტებს შორის გავრცელებულია, როგორც სეზონური, ასევე ხანგრძლივი მიგრაცია. სეზონური მიგრაცია, ძირითადად, ხორციელდება აფხაზეთსა და თურქეთის მიმართულებით, ხანგრძლივი კი, ევროპის ქვეყნებსა და რუსეთში.

სეზონური მიგრაცია წალენჯიხისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებიდან ხშირია. რესპონდენტების მიხედვით, ჩოხატაურში, მიგრაციის სწორედ ეს სახე არის გავრცელებული

სამუშაოს ტიპი:

- მომვლელი/ძიძა; მკერავი;
- ჩაის კრეფა;
- თხილის კრეფა;
- მშენებლობა;

ყველაზე მეტად. ჩოხატაურიდან, ძირითადად, გადადიან თურქეთში, რაც განპირობებულია იმით, რომ იქ არის სეზონური სამუშაო ჩაის პლანტაციებში და თხილზე და ამასთანავე ტერიტორიულად შედარებით ახლოსაა დასავლეთ საქართველოს რეგიონებისათვის. შესაბამისად, სეზონური სიარული მოსახერხებელია და დიდ ხარჯებთან არაა დაკავშირებული. რაც შეეხება წალენჯიხის მუნიციპალიტეტს, თურქეთში სეზონური მიგრაცია, აქაც ხშირია. გარდა ამისა, მოსახლეობა გადადის აფხაზეთში თხილის კრეფის სეზონზე. ისინი აღნიშნავენ, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე, მეტი ანაზღაურება აქვთ, რაც განაპირობებს მათ გადაწყვეტილებას.

რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, იქ შრომითი მიგრანტები მზად არიან შეასრულონ ნებისმიერი სახის სამუშაო, რაც ხელმისაწვდომი იქნება მათთვის.

> მომვლელი, ძიძა, ხალიჩის მრეცხავი, მკერავი, ჩაის მკრეფავი, ხილი ან თხილი, თუ რამე შავი სამუშაო ყველაფერზე მივდივართ.
>
> [დაბრუნებული მიგრანტი, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი].

ლეგალურია თუ არალეგალური წასვლა?

ფოკუს ჯგუფების შედეგები აჩვენებს, რომ საზღვრის გადაკვეთა, უმეტეს შემთხვევაში, ლეგალური გზით ხდება, თუმცა, შემდეგ დარჩენა და მუშაობა - არალეგალურია. შესაძლებელია, მიგრანტი ცხოვრობდეს ლეგალურად, თუმცა მუშაობდეს არალეგალურად. ან შესაძლებელია, რომ უცხო ქვეყანაში ცხოვრებაც და მუშაობაც, ორივე, კანონდარღვევასთან იყოს კავშირში.

თურქეთის შემთხვევა, პირველ მაგალითს შეესაბამება. თურქეთში საქართველოს მოქალაქეს აქვს უფლება, რომ სამი თვის განმავლობაში იცხოვროს ლეგალურად. თუმცა, იქ მუშაობის უფლება არ აქვთ. შესაბამისად, როდესაც საქართველოს მოსახლეობა გადადის თურქეთში სეზონურ სამუშაოზე, ისინი, კანონით განსაზღვრულ პერიოდში, ბრუნდებიან უკან, თუმცა სამუშაოს არალეგალურად ასრულებენ. ასეთ შემთხვევაში, მიგრანტები ფრთხილობენ, რომ სამართალდამცავებმა ისინი სამუშაოს შესრულების დროს არ ნახონ, რადგან სწორედ ამ დროს აქვთ დეპორტაციის უფლება.

> ერთად რომ ვიყავით, ხმამაღლა ვერ ველაპარაკებოდით ერთმანეთს - ვინმემ არ გაიგოს, რომ ქართველები ხართ და არალეგალურად გამუშავებთო.
>
> [დაბრუნებული მიგრანტი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი]

რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, იქ რისკი ბევრად უფრო მაღალია ქართველი შრომითი მიგრანტებისათვის, რადგან ქუჩაში სიარულის დროსაც შეიძლება გააჩერონ და დააბრუნონ საქართველოში.

> მილიციის მანქანას რომ დავინახავდი ფეხებში დამივლიდა... რომ ეთქვათ საბუთები მაჩვენეო, რა უნდა მეჩვენებინა?
>
> [დაბრუნებული მიგრანტი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი]

თუმცა, რიგ შემთხვევებში, ჩანს, რომ რესპონდენტთა ნაწილმა იცის თუ რა შდეგები მოჰყვება მიგრაციას, თუმცა დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს რისკის ფაქტორს:

> რა უნდა გიქნან? ყველაზე დიდი, დეპორტი იქნება.
>
> [დაბრუნებული მიგრანტი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი]

მაშინ, როცა ფოკუს ჯგუფების შუა ხნის ასაკის დაბრუნებული და პოტენციური მიგრანტები საუბრობენ საზღვარგარეთ უსაბუთოდ ყოფნასა და მუშაობაზე, პოტენციური მიგრანტების ფოკუს ჯგუფების ახალგაზრდა წარმომადგენლებისათვის, არალეგალურად სხვა ქვეყანაში ყოფნა ერთმნიშვნელოვნად მიუღებელია. ისინი ეწინააღმდეგებიან არალეგალურ მიგრაციას და კანონიერების ფარგლებში გეგმავენ გამგზავრებას.

ამგვარი განსხვავება გამომდინარეობს იქიდან, რომ თუ საზოგადოების ერთი ნაწილისთვის მიგრაცია წარმოადგენს შესაძლებლობას, მეორე ნაწილისათვის ეს არის აუცილებლობა. ახალგაზრდები წასვლას ფიქრობენ პირადი განვითარებისათვისა და გამოცდილების მიღებისათვის. ეს მათთვის არის გამოცდილება და საშუალება წინსვლისთვის. მაშინ როცა შუა ხნისა და უფრო ასაკოვანი ხალხისათვის მიგრაცია არის ერთადერთი გამოსავალი ოჯახის რჩენისათვის. შესაბამისად, ასეთი ჯგუფისთვის, თუნდაც ჰქონდეთ სრულყოფილი ინფორმაცია არალეგალური მიგრაციის რისკების შესახებ, მაინც დაშვებულია საზღვარგარეთ არალეგალურად წასვლა და ცხოვრება.

არაფორმალური კავშირები და მათი როლი

არაერთი კვლევა[17] ადასტურებს, რომ სოციალური კავშირები, როგორიცაა საახლობლო წრე და ნაცნობები, ძალიან დიდ როლს თამაშობს მიგრაციის პროცესებში საქართველოში. ამ მხრივ გამონაკლისს არც ლაგოდეხის, თეთრიწყაროს, ჩოხატაურისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტები წარმოადგენს. ფოკუს ჯგუფების შედეგები აჩვენებს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, ნაცნობების არსებობა საზღვარგარეთ. როგორც წესი, სწორედ პირადი

[17] [თამარ ზურაბიშვილი, Migration networks of labour migrants from Tianeti](#) [კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, 2015 კავკასიის ბარომეტრი](#)

კავშირებით ხდება როგორც ინფორმაციის მოძიება და საჭირო საბუთების დამზადება, ასევე სამსახურის მოძებნა საზღვარგარეთ.

წასვლის სურვილის შემთხვევაში ინფორმაციის მიღება ხდება სწორედ იმ მეგობარ-ახლობლებისგან, რომლებსაც უკვე აქვთ საზღვარგარეთ წასვლის გამოცდილება. მაგალითად: პოტენციური მიგრანტები უპირატესობას ანიჭებენ ინფორმაციის მიღებას მეგობრების, ახლობლების, ნაცნობებისგან, გამომდინარე იქიდან, რომ რჩევის მისაღებად არ იციან, სხვას ვის მიმართონ. აქტიური მოქალაქეებიც აღნიშნავენ, რომ იმ შემთხვევაში თუ გადაწყვეტენ სამუშაოდ წასვლას, აუცილებლად გამოიყენებენ სანაცნობო წრეს, რადგანაც ასე უფრო ადვილად იშოვიან სამსახურს.

აქვე აღსანიშნავია, რომ შეინიშნება განსხვავება ასაკობრივ ჭრილში - ის ახალგაზრდები, რომლებიც გამოთქვამენ სასწავლებლად წასვლის სურვილს, ინფორმირებულნი არიან ისეთ საკითხებში, როგორიცაა გასამგზავრებლად საჭირო დოკუმენტაციის არსებობა, საზღვარგარეთ ცხოვრების პირობები, სტიპენდიის მოპოვების საკითხი, კულტურული სხვაობები და სხვა. მაშინ როდესაც შუა ხნის რესპონდენტები საზღვარგარეთ წასვლაზე მსჯელობენ მხოლოდ ნაცნობის დახმარების იმედად.

ახალგაზრდებმა ინფორმაციის წყაროდ დაასახელეს:

- ინტერნეტ სივრცე;
- ტელევიზია (მეტ-ნაკლებად);
- ლექტორებთან კონსულტაცია;
- უცხოეთში მცხოვრებ ნათესავთან კონსულტაცია ;
- მეგობრების გამოცდილება (ვინც იმყოფებოდა მსგავსი პროგრამით უცხოეთში).

რომ შევაჯამოთ, რესპონდენტთა უმეტესობისთვის, განსაკუთრებით შუა ხნის და უფროსი თაობის წარმომადგენლებისათვის ინფორმაციის მიწოდება შეზღუდულია, მათ არ იციან თუ ვის შეიძლება მიმართონ მსგავს საკითხებში კონსულტაციის მიზნით, იქნება ეს ადგილობრივი თვითმმართველობა, თუ საკითხზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები. სწორედ ამიტომ, მათი უმრავლესობა ირჩევს ინფორმაციის მიღების პირად გზებს. რესპონდენტებს შორის არ ყოფილა ვინმე ისეთი, ვინც მიმართა მუნიციპალიტეტს ან სხვა სტუქტურას ინფორმაციის მისაღებად. მაშინ, როდესაც წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივ ცენტრში [18] განთავსებულია მიგრაციის სტენდი, რომლისგანაც საჭირო ცოდნა შეიძლება მიიღოს პირმა, ხოლო წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, გამოყოფილია კონკრეტული პირი, ვინც გასცემს ინფორმაციას რეგიონში მიგრაციის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ.

[18]დამატებითი ინფორმაცია საზოგადოებრივი ცენტრების შესახებ http://www.centri.gov.ge/

კერძო პირების მხრიდან დახმარება მნიშვნელოვანია საბუთების მოგროვების დროსაც. წასვლის მსურველებს, როგორც წესი არ აქვთ ზუსტი ინფორმაცია, იმაზე თუ როგორ მოამზადონ ვიზისთვის საჭირო საბუთები, და მიმართავენ ე.წ. შუამდგომელს, რომელიც მათ დახმარებას უწევთ:

> მე არ ვიცი ჯერ, მაგრამ ჩემმა სიძემ, თავისი ნაცნობების დახმარებით, გააკეთა საბუთები, და ფაქტია, რომ არსებობს რაღაც საშუალებები. ეს წავიდა ვითომ ბიზნესისათვის. ასე გაუკეთეს საბუთები, კონსულთან შევიდა იმან ჩაურტყა ერთ-თვიანი ვიზა და ასე წავიდა.
>
> [პოტენციური მიგრანტი, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი].

აღნიშნული შუამავალი იღებს შესაბამის ანაზღაურებას და ეხმარება მათ არა მარტო საბუთების მოგროვებაში, არამედ დასაქმებაშიც. ეს არის ერთგვარი არალეგალური ჯაჭვი, რომელშიც ჩაბმულია წამსვლელი მოსახლეობის უმეტესობა. „ნაცნობის ნაცნობისგან“ იღებენ ცნობას თუ როგორ ან ვინ დაეხმარებათ ქვეყნის არალეგალურად დატოვებაში საკმარისი თანხის გადახდის შემდეგ. თანხა განისაზღვრება მომსახურების მიხედვით, ანუ ითვალისწინებს ეს მხოლოდ ქვეყანაში ჩასვლას თუ იქ სამსახურის და ბინის დახვედრებასაც. თუმცა, ალბათობა იმისა, რომ ეს „გაამართლებს“ 50-50-ზეა.

> ჩემმა შვილმა აიჩემა, რომ უნდა ისრაელში წასვლა. ინფორმაცია მოიძია, რომ ვიღაცა ქალი გაუკეთებს ვიზას ერთი წლით და იღებს 4500 დოლარს რომ ჩაიყვანოს, ბინა დაახვედროს და დაასაქმოს თან. ეს არის სიტყვიერი შეთანხმება და არავინ იცის რამდენად გაამართლებს.
>
> [აქტიური მოქალაქეები, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი]

კარგი სანაცნობო წრის ყოლა მნიშვნელოვანია, დანიშნულების ქვეყანაში ჩასვლისასაც, რადგან მიიჩნევა, რომ სოციალური და ემოციური მხარდაჭერა გადამწყვეტი ფაქტორია ამ პროცესში.

> კარგი სანაცნობო წრის მქონე უნდა იყოს თან, იმიტომ, რომ ვისაც არც სანაცნობო ჰყავს არც ახლობელი და არავინ ის როგორ წავა, ვისაც არავის იმედი აქვს ის ვერც გარისკავს.
>
> [აქტიური მოქალაქეები, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი]

სანაცნობო წრეები იკვრება, უკვე უცხო ქვეყანაში ყოფნის დროსაც.

> იქ როგორ იყო იცი? კრუგია, ერთხელ მიხვალ გააკეთებ და იმას თუ მოეწონე თავისთავად, ის მერე ეტყვის თავის მეგობარს და „კრუგში“ ტრიალებ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.
>
> [დაბრუნებული მიგრანტები, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი]

შესაბამისად, საზღვარგარეთ ყოფნისას მნიშვნელოვანია თავის დამკვიდრება, თავის გამოჩენა, რათა რაც შეიძლება ბევრმა ოჯახმა გაიგოს და მოთხოვნა გაჩნდეს.

ადგილზე არსებული სირთულეები

დაბრუნებული მიგრანტები ფოკუს ჯგუფის შეხვედრაზე აღნიშნავენ, რომ მიგრაციაში ყოფნისას, ძალიან რთულ პირობებთან უწევდათ შეგუება. სირთულეები ძირითადად უკავშირდება იმ ფაქტს, რომ მიგრანტები ცხოვრობენ და მუშაობენ არალეგალურად და არ გააჩნიათ უფლებები.

იმის გამო, რომ შრომით მიგრანტებს საქართველოდან არ აქვთ მუშაობის ნებართვა, უცხო ქვეყანაში ყოფნისას, ისინი თავს უუფლებოდ მიიჩნევენ. დასაქმებისას ისინი არახელსაყრელ პირობებში ხვდებიან, და არ აქვთ თავიანთ უფლებების დაცვის არანაირი ბერკეტი.

„როცა არალეგალურად ხარ, მოგატყუებენ, ხელფასს არ მოგცემენ და ვერაფერს ვერ უბნები."

[დაბრუნებული მიგრანტები, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი]

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ხშირად უწევდათ შეთანხმებულზე უფრო ხანგრძლივად მუშაობა, იღებდნენ ნაკლებ ანაზღაურებას, ხოლო ყოფილა შემთხვევები, როდესაც დამსაქმებელს მათთვის რამდენიმე თვის ხელფასი არ გაუცია. ამგვარი სიტუაციებიდან თავის დაცვის საშუალება არალეგალურად მომუშავე მიგრანტებს არ აქვთ.

ემიგრაციაში ყოფნის ძირიადი სირთულეები:

- უფლებების არ ქონა
- რთული სამუშაო პირობები
- ენის არ ცოდნა
- ოჯახისა და ახლობლების მონატრება

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ როგორც საქართველოს მოქალაქეები, ისინი თავს დაცულად არ გრძნობენ უცხო ქვეყანაში ყოფნის დროს.

ჩვენი უფლებები ყველა მხრივ შეზღუდული იყო.

სიტყვის თავისუფლება არ გვაქვს, არც ისე თავისუფლება.

[დაბრუნებული მიგრანტები, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი]

გარდა უფლებრივი საკითხებისა, პრობლემები, სამუშაოსაც ეხებოდა. რესპოდენტები აღნიშნავენ, რომ ძალიან მძიმე საქმის შესრულება უწევდათ. ბევრს ეს ჯანმრთელობის დაზიანებადაც დაუჯდათ. განსაკუთრებით რთული მიგრანტებისათვის საწყისი ეტაპი იყო.

> პირველი წლის გადალახვა რთული იყო. 3 თვე თავიდან არ ვმუშაობდი, როგორც კი სამსახურში გავედი მაქედან დაიწყო ჩემი კოშმარი. ცხოვრების ნორმალური პირობები მქონდა, მაგრამ სამუშაო საშინელი... სხვა ადამიანებსაც უჭირდათ, მშიერი ადამიანისგან კი, არაფერია გამორიცხული, შეიძლება მოიპაროს ან ითხოვოს. სწორედ ამ დროს არის გონებაში შენი სამშობლი განსაკუთრებულად ძვირფასი და ფიქრობ სად წამოვედი?
>
> [დაბრუნებული მიგრანტი, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი]

სირთულეს ქმნის ენობრივი ბარიერიც, თუმცა რესპონდეტების თქმით, ისინი რამდენიმე თვეში სწავლობენ ენას:

> პირველად ხმა რომ ამოვიღე, ჩემს უფროსს ვეჩხუბე. ისე მიყურებდა მეგონა ყველაფერი დამთავრდა. არადა მიპასუხა, გისწავლია ბერძნულიო. მაგის მერე დავმეგობრდით [იცინის].
>
> [დაბრუნებული მიგრანტი, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი]

შრომითი მიგრანტებისთვის უპირველესი მამოძრავებელი ძალა არის ფინანსური გასაჭირი. ისინი მიდიან საზღვარგარეთ, რათა მცირედი კაპიტალი დააგროვონ. თუმცა, ფოკუს ჯგუფების შეხვედრები აჩვენებს, რომ მართალია, აქვთ მეტი შემოსავალი, ვიდრე ექნებოდათ, საქართველოში, მაგრამ სასურველი თანხის დაგროვებას ვერ ახერხებენ.

> რასაც ვაკეთებდი ფულს, ჩამოვდიოდი და ორ დღეში აღარ მქონდა.
>
> [დაბრუნებული მიგრანტი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი]

გარდა ამ სირთულეებისა, კიდევ ერთი საკითხი, რასაც ძალიან მწვავედ განიცდიან ემიგრაციაში ყოფნისას, არის ოჯახთან და ახლობლებთან განშორება:

> სამსახურიც და ხელფასიც ნორმალური მქონდა, მაგრამ ყველაზე რთული იყო, რომ მოკლებული ვიყავი ყველაფერს: მეგობრებს, ოჯახს. ერთმა ძმაკაცმა ცოლი მოიყვანა და ქორწილში არ ვიყავი. ბავშვები პატარები დავტოვე.
>
> [დაბრუნებული მიგრანტი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი]

> ეს არის წვალება, ჯერ ფსიქოლოგიური და ფიზიკური, როგორია, შვილებს დატოვებ დედა და მიდიხარ და იქ ხარ და არ იცი შვილი რას იცმევს, რას ჭამს?
>
> [დაბრუნებული მიგრანტი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი]

აღნიშნული პრობლემა სირთულეს წარმოადგენს ხანგრძლივ მიგრაციაში მყოფი პირებისათვის, რომლებიც, ძირითადად, განუსაზღვრელი დროით არიან წასული, ხოლო იმის გამო რომ არალეგალურად არიან, ვერ ახერხებენ სურვილისამებრ უკან დაბრუნებას.

მიგრაციის პოზიტიური მხარეები

ფოკუს ჯგუფის მონაწილეები საუბრობენ მიგრაციის პოზიტიურ მხარეებზეც და აღნიშნავენ, რომ მიგრაციაში ყოფნას მოაქვს ეკონომიკური სარგებელი, გარდა ამისა, ადამიანები ეცნობიან ახალ კულტურას, სწავლობენ ახალ ენას და საკუთარ ცხოვრებასაც სხვა რაკურსით განიხილავენ.

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად რთული სამუშაო პირობებისა, საზღვარგარეთ მუშაობა, მაინც არის შემოსავლისა და დანაზოგის გაკეთების საშუალება.

5 დღეში შეიძლება იშოვო 500 ლარი და ხელფასია იმხელა, რომ შენით მიხედავ თავს. აქ რა უნდა გააკეთო ისეთო რო დღეში 150 ლარი იშოვო.

[დაბრუნებული მიგრანტი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი]

ემიგრაციის პოზიტიური მხარეები:

- ეკონომიკური შემოსავალი
- უცხო ენის შესწავლა
- ახალი უნარები
- საკუთარის თავისა და პოზიციის გადაფასება

ბევრისთვის, სწორედ, უცხოეთში მყოფი ოჯახის წევრისგან გამოგზავნილი თანხები არის შემოსავლის ერთადერთი თუ არა, ძირითადი წყარო მაინც.

გარდა ამისა, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მიგრაციაში ყოფნისას სწავლობენ უცხო ენას და ეცნობიან ახალ კულტურას, ხოლო დაბრუნების შემდეგ გამოცდილებას უზიარებენ დანარჩენებსაც.

> გამოცდილება მივიღეთ ძალიან დიდი და ბევრი, რომელიც მნიშვნელოვანია შემდეგ აქ ცხოვრებაში. ყველას სხვანირად შევხედე ოჯახს კი არა და დედასაც.
>
> [დაბრუნებული მიგრანტი, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი]

რესპონდენტები ყურადღებას ამახვილებენ უცხოეთში დასწავლილ პროფესიებსა და შეძენილ პრაქტიკულ უნარებზეც:

> მე, მაგალითად, იქ ვისწავლე 5 სახეობის ბიზნესი.
>
> [დაბრუნებული მიგრანტი, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი]

აუცილებელია აღინიშნოს, რომ საზღვარგარეთ ყოფნა და მუშაობა ბევრს აძლევს ფინანსურ სტაბილურობას, რაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ თვითშეფასებაში. ბევრისთვის სტაბილური შემოსავალი და სტრუქტურირებული ყოველდღიურობა ცხოვრებას აზრს სძენდა.

> კარგი ანაზღაურება მქონდა, თავს ადამიანად ვგრძნობდი. სამწუხაროდ, ეს იყო საზღვარგარეთ და არა აქ.
>
> [დაბრუნებული მიგრანტი, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი]

და ბოლოს, რესპონდენტების თქმით, საზღვარგარეთ ყოფნისას, მათ გადააფასეს საკუთარი ადგილი საქართველოში.

> უცხოეთიდან ზუსტად ხედავ შენს ადგილს საქართველოში.
>
> მე ვფიქრობ, კმაყოფილი ნამდვილად ვარ [უცხოეთში ყოფნით], ჩემი თავის პოვნა ყველაზე მნიშვნელოვანი იყო.
>
> [დაბრუნებული მიგრანტი, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი]

დაბრუნების მიზეზი და გარემოსთან რეადაპტაცია

საქართველოში დაბრუნების მიზეზებად, ძირითადად, სახელდება საბუთების ვადის გასვლა, დეპორტაცია და რთული ფიზიკური სამუშაო.

ფოკუს ჯგუფის წევრებს შორის ხშირია, დეპორტის შემთხვევები, ხოლო ის შრომითი მიგრანტები, რომლებიც გადადიან თურქეთში სამუშაოდ, ცდილობენ, რომ არ გადააჭარბონ კანონით დადგენილ სამ თვეს და დროულად გადმოკვეთონ საზღვარი, შესაბამისად, დაბრუნების მიზეზიც სწორედ ეს არის.

დაბრუნების ძირითადი მიზეზები:

- დეპორტი
- საბუთების ვადის გასვლა
- რთული სამუშაო პირობები

რთული სამუშაო პირობები, კიდევ ერთი ფაქტორია, რაც დასახელდა დაბრუნების მიზეზად. რესპონდენტების გარკვეული ნაწილი აღნიშნავს, რომ „მეტი მუშაობა აღარ შეეძლო.“ როგორც ზემოთ (მიგრაციის უარყოფით შედეგებზე საუბრისას)აღინიშნა, სახეზეა ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტებიც.

რესპონდენტების ნაწილი ამბობს, რომ დაბრუნების შემდეგ გაუჭირდათ გარემოსთან შეგუება. საზღვარგარეთ მუშაობა მათ ცხოვრებას სტრუქტურულ ხასიათს სძენდა, რაც საქართველოში დაბრუნების შემდეგ დაიკარგა.

> მე 3 თვე სახლიდან არ გამოვსულვარ. მქონდა სტრესი. ძალიან ძნელია როცა რამდენიმე წელი ცხოვრობ საზღვარგარეთ და მერე ეჯახები აქაურ რეალობას. რეჟიმი რომ იყოს ჩვენს ქვეყანაში, იდეალური იქნებოდა ცხოვრება. იქ რომ ფერხულში ხარ ჩართული, და გაწერილი გაქვსყველაფერი დროში, აქ ყველამ იცის შენი ცხოვრება შენს გარდა.
>
> [დაბრუნებული მიგრანტი, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი]

> მე პირადად ძალიან გამიჭირდა, ძლივს შევეჩვიე, ნახევარი წელი ან მეტი დამჭირდა. ვიხვეწებოდი წამიყვანეთ-მეთქი, 2014 წელს ჩამოვედი და ახლაც მინდა წასვლა.
>
> [დაბრუნებული მიგრანტი, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი]

> ემიგრაციაში ყოფნამ ვერ გააუმჯობესა რესპონდენტთა ცხოვრების დონე

თუმცა, რესპონდენტების სხვა ნაწილის მიხედვით, წასვლამ ან უმნიშვნელოდ შეცვალა, ან ვერაფერი შეცვალა მათ ცხოვრებაში. ანუ, მუხედავად დაგროვილი გამოცდილებისა, მათი ცხვორების დონე და ეკონომიკური პირობები ვერ გაუმჯობესდა. ოჯახის წევრების მიერ არ ხდებოდა ფინანსების დაგროვება ან ინვესტირება რაიმე ბიზნესში, ამდენად უკან დაბრუნებულ მიგრანტს ისევ საწყის წერტილზე ხვდება ოჯახი.

> სეზონურად დავდივარ მაგრამ, რომ დავბრუნდები ერთი კვირის შემდეგ აღარ ვიცი რა ვქნა, დილა თენდება და სამსახური არ მაქვს, არც გასართობია რამე, ამდენად ვფიქრობ უკან წასვლაზე, რა თქმა უნდა.
>
> [დაბრუნებული მიგრანტი, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი]

> მე ჩვეულებრივად ჩამოვედი. როგორც წასვლამდე ვცხოვრობდი საქართველოში, ისე გავაგრძელე ჩამოსვლის მერეც. ვერც სამსახური ვიშოვე და ჩვეულებრივად ვარ.
>
> [დაბრუნებული მიგრანტი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი].

ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარამომადგენლების თქმით, შრომითი მიგრაციის შემცირებისა და დაბრუნებული მიგრანტებისთვის რეადაპტაციის პროცესში მნიშვნელოვანია განათლების ფუნქცია. ინტერვიუებში ხაზი ესმება როგორც სამოქალაქო თვითშეგნების გაზრდას, ასევე პროფესიულ კურსებს. პროფესიული საგანმანათლებლო კურსები მიიჩნევა სამსახურის დაწყების პროცესში, მნიშვნელოვან კომპონენტად. ჩატარებული ფოკუს ჯგუფების წარმომადგენლების აზრითაც, თუ უფრო დიდი მნიშვნელობა მიექცევა სხვადასხვა სფეროში პროფესიული განათლების მიღებას და ყველა არ იქნება ორიენტირებული უმაღლესი საუნივერსიტეტო განათლების მიღებაზე, დაიწყება პროცესი, რომლის შედეგადაც მივიღებთ პროფესიონალებს სხვადასხვა სფეროში, შესაბამისად აიწევს ხალხის დასაქმების დონეც და ეს, თავის მხრივ, განაპირობებს იმას, რომ რაც უფრო მეტი ადამიანი დასაქმდება, მით უფრო ნაკლები მიგრანტი გავა ქვეყნიდან.

დაბრუნებული მიგრანტების პროგრამები და მასთან დაკავშირებული სირთულეები

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოქმედებს არაერთი პროგრამა რომელიც მიზნად ისახავს დაბრუნებული მიგრანტების დახმარებას და მათ რეინტეგრაციას საზოგადოებაში(იხ. გვ. 11-12).თუმცა, ფოკუს ჯგუფის შედეგები აჩვენებს, რომ დაბრუნებულ მიგრანტებს, ერთი

მხრივ,მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენები აქვთ ამ პროგრამების შესახებ, ხოლო მეორე მხრივ, არ აქვთ მათ მიმართ ნდობა და ფიქრობენ, რომ აზრი აქვს პროექტებში და/ან კონკურსებში მონაწილეობას.

> მე არც მიცდია სადმე მიმართვა, არც მჯერა... არაფერი გამოვა... არ მაქვს იმედი. ასეთი ფაქტები გამიგია, მაგრამ მაინც ვერაფერში ეხმარებიანო.
>
> [დაბრუნებული მიგრანტი, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი]

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, გამოყოფილია კონკრეტული კადრი, რომელიც პასუხისმგებელია მიაწოდოს მოსახლეობას ინფორმაცია დაბურნებული მიგრანტებისათვის არსებული პროგრამების შესახებ. თუმცა, მუნიციპალიტეტის თანამშრომლები აღნიშნავენ, რომ მიმართვიანობის დონე არის ძალიან დაბალი. ამის მიზეზად სახელდება, მოსახლეობის დაბალი ინიციატივა.

ამავდროულად, რესპონდენტები თვლიან რომ ეს პროექტები არ არის <u>მათთვის</u>, მათ ვერ დაეხმარება და ა.შ. ამგვარი განწყობა ძლიერდება იმითაც, რომ მათ სანაცნობო წრეში არიან ისეთები, ვისაც უცდია პროექტში მონაწილეობა, თუმცა ვერ მიუღია გრანტი. ასეთი რესპონდენტები, ფოკუს ჯგუფის წევრებიც იყვნენ:

> ერთხელ ვცადე ბედი. საბუთები მომთხოვეს, რაღაც ბიზნესის წამოწყება უნდაო, დავწერე და ყველაფერი, მერე ტენდერი უნდა მოიგოო და აბა ჩემნაირი ათასი იყო და მე ვინ მომაგებინებდა. კი, ყველაფერი გადავიხადეთ, მარა არ გამოვიდა.
>
> [დაბრუნებული მიგრანტი, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი]

> კი, რაღაც [საპროექტო განაცხადი] შემავსებინებს 5000 ლარზე, მარა აზრი არ აქვს. გაწვალებენ, შეგავსებინებენ და მერე აღარ გაძლევენ.
>
> [დაბრუნებული მიგრანტი, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი]

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ერთხელ მცდელობისა და წარუმატებლობის შემდეგ, რესპონდენტები არ უშვებენ იმ ფაქტს, რომ შეუძლიათ გაიუმჯობესონ უნარები (მაგ. პროექტის წერის უნარები) და ხელმეორედ სცადონ პროექტზე განაცხადის შეტანა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რამდენადაც მარტივი არ უნდა იყოს მოთხოვნები დაბრუნებული მიგრანტებისთვის აპლიკაციის შევსება სირთულეებთან არის კავშირში. მაგალითად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონფონდი „აფხაზეთის“ პროექტში [19] და შეიტანონ განაცხადი მცირე ბიზნესის წარმოებაზე. ორგანიზაციის წარმომადგენელის თქმით, ამ პროექტში მონაწილეობის მისაღებად, მსურველებმა საპროექტო განაცხადთან ერთად, მხოლოდ უნდა წარადგინონ საზღვრის კვეთის დოკუმენტი, რაც დაადასტურებს რომ განაცხადის შემომტანმა პირმა

[19] http://www.chca.org.ge/index.php/en/our-programs-english/livelihoods-and-economic-development

მიგრაციაში ერთ წელზე მეტი ხანი დაჰყო, ხოლო ჩამოსვლიდან არ არის გასული ერთი წელი. ამის შემდეგ მოხდება იმის შეფასება თუ რამდენად აქვს განაცხადის შემომტან პირს საკმარისი ცოდნა და გამოცდილება პროექტის განხორციელებისათვის. სწორედ ამის საფუძველზე ხდება საბოლოოდ პროექტების შერჩევა.

მიუხედავად ორგანიზაციის მხრიდან მცირე მოთხოვნებისა, ფოკუს ჯგუფები აჩვენებს, რომ მოსახლეობისთვის, ესეც კი ძნელად განსახორციელებელია. მაგალითად, საზღვრის კვეთის დოკუმენტი საქართველოს შსს-ს მომსახურების სააგენტოს ვებგვერდის მიხედვით, 20 ლარი ღირს[20]. აღნიშნული თანხა ფოკუს ჯგუფის მონაწილეებისათვის საკმაოდ ბევრია და მათ არ უღირთ მისი გადახდა.

კიდევ ერთი პრობლემა, რაც აფერხებს მოსახლეობის მხრიდან იმ სერვისებით სარგებლობას, რომელსაც მათ სთავაზობს არასამთავრობო სექტორი არის, ინფორმაციის სათანადოდ ვერ გავრცელება. ფონდი „აფხაზეთი“ მუშაობს შემდეგ მუნიციპალიტეტებში: წალენჯიხაში, ჩხოროწყუში, ზუგდიდსა და სენაკში. ფონდის წარმომადგენლის თქმით, მათ ყოველთვის უჭირთ ინფორმაციის გავრცელება. როგორც წესი, ისინი მიმართავენ მუნიციპალიტეტს ხალხის მობილიზებისათვის, თუმცა, როგორც აღნიშნავენ, მუნიციპალიტეტები ვერ აკეთებენ ამის სათანადოდ ორგანიზებას. როგორც მუნიციპალიტეტებთან ინტერვიუებიდან გავიგეთ, მათ აქვთ ინფორმაცია ფონდი “აფხაზეთის” საქმიანობის შესახებ და თუ ვინმე დაინტერესებული პირი მიაკითხავთ მათ მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებით, მათ იციან, ვისთან უნდა გადაამისამართონ ისინი. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, მიმართვიანობა არის დაბალი.

შესაბამისად, როგორც წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მაგალითის განხილვა აჩვენებს, მუნიციპალიტეტში, შესაძლებელია, არსებობდეს დაბრუნებულ მიგრანტთა პროგრამა, მუნიციპალიტეტსაც შეიძლება ჰქონდეს ამის შესახებ ინფორმაცია და ცდილობდეს მის გავრცელებას, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობისთვის, მაინც ნაკლებად ხელმისაწვდომია.

ემიგრაცია თუ სამშობლოში დარჩენა?

დაბრუნებული მიგრანტების უმეტესობა აღნიშნავს, რომ ძალიან რთული არჩევანის გაკეთება უწევს საქართველოსა და საზღვარგარეთ ცხოვრებას შორის. რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღონ, მაინც, მძიმე მდგომარეობაში უწევთ ცხოვრება. საზღვარგარეთ შრომით მიგრაციაში ყოფნისას, ეკონომიკურად მეტ-ნაკლებად კარგ პირობებში არიან, თუმცა უწევთ, ძალიან რთულ პირობებში მუშაობა და ამასთან, ოჯახთან და მეგობრებთან განშორება. ხოლო, საქართველოში ახლოს არიან ოჯახის წევრებთან, ყველაფერთან რაც მათთვის მშობლიურია, თუმცა, უწევთ მძიმე ეკონომიკურ პირობებში ცხოვრება.

[20]შსს-ს მომსახურების სააგენტოს ვებგვერდი

საგულისხმოა, ფოკუს ჯგუფების ერთ-ერთი რესპონდენტის სიტყვები, რომელიც ნათლად გამოხატავს შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახების ცხოვრების ტრაგედიას:

> ჩვენ მათხოვრები ვართ, ისინი [მიგრანტები] კიდევ, მონები გამოდიან.
>
> [დაბრუნებული მიგრანტი,წალენჯიხის მუნიციპალიტეტი]

შრომით მიგრანტებს უწევთ, რომ თავი გადადონ ოჯახისათვის და წლების განმავლობაში იცხოვრონ მუდმივ სტრესსა და ნოსტალგიაში, ხოლო, აქ დარჩენილი ოჯახის წევრები, უცხოეთიდან გამოგზავნილი თანხებზე არიან სრულიად დამოკიდებულები.

საზღვარგარეთ ყოფნისას, მუდამ ფიქრობენ დაბრუნებაზე, მაგრამ, დაბრუნების შემდეგ ბევრი ნანობს ამ გადაწყვეტილებას.

> ერთ დღეს ისე მომენატრა საქართველო, 29 დეკემბერი იყო ზუსტად, ავდექი და წამოვედი ეგრევე თბილისში, მაგრამ რომ ჩამოვედი მივხვდი, რომ სისულელე ვქენი.
>
> [დაბრუნებული მიგრანტი,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი]

მიუხედავად იმისა, რომ საზღვარგარეთ ყოფნისას მძიმე შრომა უწევდათ, ის ფაქტი, რომ დარუნების შემდეგ ისევ ეკონომიკური და მორალური პრობლემის წინაშე დგანან, კვლავ რეციდივის სურვილს უჩენს მათ.

> ყველას უჭირს აქ. პური ან ლარი რომ გინდოდეს ვერ იშოვი, ფსიქოლოგიაზე ცუდად მოქმედებს, შენი გაჭირვება გაქვს და კიდე სხვებისაც უნდა ისმინო.
>
> [დაბრუნებული მიგრანტი, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი]

ფოკუს ჯგუფის მონაწილეები თავს არ გრძნობენ რეალიზებულებად, რაც განაპირობებს ცხოვრებით უკმაყოფილებას. ბენეფიციარები კმაყოფილები არიან ოჯახით და კარგი სამეგობრო წრით. თუმცა, ცხოვრების კმაყოფილების დონეს ეკონომიკური თვალსაზრისით თუ განვიხილავთ, მათი კმაყოფილება საკმაოდ დაბალია, რადგან მათი უპირველესი პრობლემა - ეკონომიკური არასტაბილურობა, რაც უმუშევრობითაა გამოწვეული, კვლავ უცვლელია. შესაბამისად, როგორც ზემოთ აღინიშნა, მათ უწევთ ურთულესი გადაწყვეტილების მიღება საზღვარგარეთ მუშაობასა და საქართველოში რთულ ეკონომიკურ პირობებში ცხოვრებას შორის. როგორ შედეგები აჩვენებს, არც ერთი არჩევანი მათთვის გამოსავალს არ წარმოადგენს.

ცოდნა ვიზა ლიბერალიზაციის შესახებ

კვლევის ფარგლებში, გამოიკითხა თუ რამდენად აქვს საზოგადოებას ინფორმაცია ვიზალიბერალიზაციის შესახებ და როგორ წარმოუდგენიათ მასთან დაკავშირებული პროცესები. კვლევის შედეგების მიხედვით, ფოკუს ჯგუფის მონაწილეების ცოდნა

ვიზალიბერალიზაციის შესახებ არაერთგვაროვანია. ფოკუს ჯგუფის შეხვედრები აჩვენებს, რომ მონაწილეების ნაწილს მცირე ინფორმაცია აქვს ვიზა ლიბერალიზაციაზე, და/ან უშუალოდ ფოკუს ჯგუფის პროცესში გააანალიზა, თუ რას გულისხმობს ვიზა ლიბერალიზაცია. მონაწილეების ნაწილი კი, ზუსტად არის ინფორმირებული ვიზა ლიბერალიზაციის პირობების შესახებ.

„არაფერს ველოდები ამ ვიზა ლიბერალიზაციისგან. ეს იმ ადამიანებისთვის არის, ვისაც მატერიალური შესაძლებლობები გააჩნია“

საინტერესოა, რომ ის, ვინც მეტ-ნაკლებად ინფორმირებულია ვიზა ლიბერალზაციის პროცესის შესახებ, იქნება ეს პოტენციური მიგრანტი, დაბრუნებული თუ აქტიური მოქალაქე, არ ფიქრობს, რომ ამ პროცესის შედეგად ხალხი მარტივად წავა საზღვარგარეთ. ხოლო, ვინც ნაკლებადაა ინფორმირებული, ისინი შიშობენ, რომ გარე მიგრაციის დონე საგრძნობლად მოიმატებს.

აღსანიშნავია, რომ ფოკუს ჯგუფის მონაწილეებს არ აქვთ მკაფიო მოლოდინები ვიზა ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით. ისინი თვლიან, რომ მხოლოდ მატერიალურად უზრუნველყოფილი ხალხი შეძლებს ვიზალიბერალიზაციის პერიოდში საზღვარგარეთ წასვლას, ქვეყნის დათვალიერებას, ტურისტად ყოფნას, მათთვის კი არაფერი შეიცველბა.

> მე, მაგალითად, არაფერს ველოდები ამ ვიზალიბერალიზაციისგან. ეს იმ ადამიანებისთვის არის, ვისაც მატერიალური შესაძლებლობები გააჩნია და უნდა იქ მაგალითად, პიზის კოშკის ნახვა, ან მილანს ან თუ რამე სხვას დაათვალიერებს, ანუ ტურისტულად თუ წავა.
>
> [დაბრუნებული მიგრანტი, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი]

გარდა ამისა, მიგრანტები აღნიშნავენ, რომ თუ სამუშაო ვიზები არ იქნება ნებადართული, ვიზა ლიბერალიზაცია არანაირი შედეგის მომტანი არ იქნება მათთვის, გამომდინარე იქიდან, რომ მოსახლეობის უმრავლესობის დაბალი მატერიალურ-ეკონომიკური მდგომარეობა არ იძლევა ტურისტული მოგზაურობის „ფუფუნებას“. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ ფოკუს ჯგუფის მონაწილეების 49%-ს ან საერთოდ არ აქვს შემოსავალი, ან მხოლოდ პენსიას იღებს. ხოლო მათგან ვინც დასაქმებულია, 38%-ის შემოსავალი 300 ლარზე ნაკლებია. შესაბამისად, ლოგიკურია, რომ საზოგადოების ეს ფენა, არ მიიჩნევს, რომ ვიზა ლიბერალიზაცია მათთვის რაიმე სარგებელს მოიტანს ან რაიმეს შეცვლის მათ ცხოვრებაში. თუმცა, მიიჩნევენ, რომ ზოგადად, ქართული საზოგადოების კულტურული განვითარების თვალსაზრისით კარგი იქნება. მოსახლეობა თვალსაწიერს გაიფართოვებს და მეტი მოტივაცია გაუჩნდება საკუთარი უფლებების დასაცავად.

> ნახავს ქართველი და ეზიარება ევროპულ კულტურას, ნახავს, რომ იქ ნაგავს ურნაში აგდებენ [ნაგავს] და არა - ძირს. მიხვდება, რომ რაღაცას არასწორად აკეთებს და

> შეცვლის თავის ქცევას. მგონია, რომ კარგს გადმოიღებს. მერე მთავრობასაც მეტს მოსთხოვს, რომ ჩვენ ეს არ გვაქვს არადა გვჭირდებაო. ხედვა შეეცვლება რა.
>
> [პოტენციური მიგრანტი, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი]

მიუხედავად იმისა, რომ ფოკუს ჯგუფის მონაწილეებს მეტ-ნაკლებად აქვთ ინფორმაცია ვიზალიბერალიზაციის შესახებ, უმეტესობა აღნიშნავს, რომ ისურვებდა მეტი დეტალი იცოდეს ამ პროცესზე, რადგან მათი ცოდნა ძირითადად შემოიფარგლება იმით, რასაც ტელევიზიით გადასცემენ, რაც ხშირად არ არის საკმარისი.

ფოკუს ჯგუფებში გამოვლენილი შედეგები, ეხმიანება კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მიერ 2015 წელს ჩატარებულ ყოველწლიურიკვლევის „კავკასიის ბარომეტრის“ [21] მეშვეობით მიღებულ შედეგებსაც, რომელიც აჩვენებს, რომ კველევის სამიზნე მუნიციპალიტეტებში გამოვლენილი ტენდენციები, საქართველოს მასშტაბითაც ვრცელდება. „კავკასიის ბარომეტრში“ რამდენიმე კითხვა ვიზა ლიბერალიზაციასაც შეეხება. კონკრეტულად კი, ზომავს მოსახლეობის ინფორმირებულობასა და დამოკიდებულებას. მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობა ნაკლებად არის ინფომირებული ან არ აქვს მოსაზრება ვიზა ლიბერალიზაციასთან დაკავშირებულ მოლოდინებსა და სარგებელზე. ხოლო იმათ, ვისაც სმენია ამ პროცესების შესახებ, აქვს როგორც ზუსტი, ასევე არაზუსტი ინფორმაცია თუ რას გულისხმობს ვიზა ლიბერალიზაცია. კონკრეტულად კი, კვლევის შედეგების მიხედვით, მოსახლეობის 27.5% არ იცის რა არის ვიზა ლიბერალიზაცია, ხოლო 27% -მა აღნიშნა, რომ არ იცის თუ რამდენად სახარბიელო იქნება ადგილობრივი მოსახლეობისთვის ვიზა ლიბერალიზაცია. ასევე, ინფორმირებული რესპონდენტების 31.6% თვლის, რომ ვიზა ლიბერალიზაციით საქართველოს მოსახლეობა იხეირებს.

> მოსახლეობა ნაკლებად არის ინფომირებული, ან არ აქვს მოსაზრება ვიზა ლიბერალიზაციასთან დაკავშირებულ მოლოდინებსა და სარგებელზე.

რაც შეეხება ვიზა ლიბერალიზაციის შინაარსობრივ მხარეს, მოსახლეობის იმ ნაწილს, ვისაც აქვს გარკვეული ინფორმაცია თუ მოსაზრება ვიზა ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით, თითქმის თანაბრად მიაჩნია რომ ვიზა ლიბერალიზაცია უკავშირდება საქართველოს მოსახლეობისთვის გამარტივებულ სავიზო რეჟიმს ევროპის მიმართულებით, ევროკავშირის მოქალაქეს არ დასჭირდება ვიზა საქართველოში სამოგზაუროდ და ბოლოს, საქართველოს მოსახლეობას არ დასჭირდება ვიზა ევროკავშირის ცალკეულ ქვეყნებში სამოგზაუროდ, რაც ნიშნავს იმას, რომ მოსახლეობა ფლობს როგორც სწორ ასევე, არასწორ ინფორმაციას ვიზა ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით. ამ საკითხზე განსხვავებული მოსაზრებები აქვთ სოფლად და ქალაქად მცხოვრებ მოსახლეობას. კონკრეტულად კი, ქალაქად მცხოვრებ მოსახლეობასთან

[21] მონაცემთა ონლაინ ანალიზი, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, 2015

შედარებით, სოფლად მცხოვრები მოსახლეობა უფრო ნაკლებად არის ინფორმირებული და ასევე, უფრო პესიმისტურად აღიქვამს ვიზა ლიბერალიზაციით ადგილობრივი მოსახლეობის სარგებლის მიღების საკითხს.

დასკვნები და რეკომენდაციები

1. **მიგრაციის მართვა საქართველოში უმეტესწილად ცენტრალიზებულია,** ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, ნაკლებად არიან ჩართულნი მიგრაციის სამთავრობო კომისიის საქმიანობებში და ასევე, მათი როლი მიგრაციის მართვის პროცესში არ არის ცალსახად განსაზღვრული, მაშინ როდესაც ადგილობრივ დონეზე მიგრაციის შესახებ მონაცემების მოგროვების, დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის, თუ ლეგალური მიგრაციის შესახებ ინფორმაციის გავრცელების კუთხით მუნიციპალიტეტების როლი მნიშვნელოვანია. ასევე, მუნიციპალიტეტების თანამშრომლების კომპეტენცია მიგრაციის მართვის კუთხით კრიტიკულია და საჭიროებს განვითარებას. აუცილებელია, განისაზღვროს მუნიციპალიტეტების როლი მიგრაციის მართვისთვის (მონაცემების მოგროვება, ინფორმაციის გავრცელება) და აისახოს შესაბამის სტრატეგიულ დოკუმენტებში, როგორიცაა სტრატეგია, სამოქმედო გეგმა და ა.შ. ასევე, გადამზადდეს არსებული კადრები მიგრაციის საკითხებზე, რათა შეძლოს კვალიფიციური ინფორმაციის მიწოდება სამიზნე ჯგუფისთვის.
2. **მიგრაციას განაპირობებს სხვადასხვა მიზეზები, რაც, გარკვეულწილად, კავშირშია ასაკთან.** შუა ხნის ასაკის ადამიანებისთვის, ანაზღაურება და დასაქმება არის უპირატესი, მაშინ, როდესაც ახალგაზრდა ასაკის ადამიანებისთვის, განვითარება და შესაძლებლობების ნაკლებობაა ძირითადი მიზეზი. შესაბამისად, რეკომენდებული იქნება, ზოგადად ადგილობრივ დონეზე ეკონომიკური განვითარება, სამუშაო ადგილების შექმნით, მეწარმეობის ხელშეწყობა და ასევე, ახალ კურსდამთვრებულთათვის დასაქმების პროგრამების შემუშავება.
3. ვინაიდან, ფოკუს ჯგუფებში მონაწილე რესპონდენტების გარკვეული ნაწილი მიმართავს ვიზის აღებისა და სამუშაოს ძიებისთვის ისეთ გზებს, როგორიცაა თანხის გადახდა კონკრეტული პირისთვის, მსგავსი მომსახურების სანაცვლოდ, თუმცა, მომსახურების მიღების გარანტია არ აქვთ, **სასურველია მსგავსი პრაქტიკის ჩანაცვლება ისეთი გზებით, როგორიცაა ინფორმაციის გავრცელება ლეგალური შრომითი მიგრაციის შესახებ** და ასევე, არსებული სახელმწიფო პროგრამები, **ცირკულარული შრომითი მიგრაციის შესახებ[22].**
4. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტების ნაწილის მიერ საქართველოში გამოგზავნილი თანხა, ხმარდება ყოველდღიურ ხარჯებს და არ ხდება **გამოგზავნილი თანხის ინვესტირება**

[22]ინფორმაცია ცირკულარული შრომითი მიგრაციის შესახებ, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია

მცირე ბიზნესის, უძრავი ქონების თუ სხვა ბიზნეს იდეის სახით, რომ მიგრანტებმა დაბრუნების შემდეგ შეძლონ მათ მიერ გამოგზავნილი თანხით წამოწყებული ბიზნესში ჩართვა და ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა. შესაბამისად, რეკომენდებული იქნება დაინტერესებული მხარეების მიერ (დიასპორის სამსახური, სახელმწიფო სტრუქტურები, საერთაშორისო ორგანიზაციები, ბანკები და ა.შ.) მიგრანტების წახალისება, ინვესტიციების ჩადების თუ ბიზნეს იდეების განხორციელების კუთხით.

5. **დაბრუნებული მიგრანტების ნაწილი ვერ სარგებლობს რეინტეგრაციის პროგრამებით, რაც განპირობებული სხვადასხვა მიზეზებით.** დაბრუნებული მიგრანტების ნაწილი აღნიშნავს, რომ არ აქვთ ინფორმაცია დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის სახელმწიფო, თუ არასამთვრობო ორგანიზაციების პროგრამების შესახებ, ხოლო ნაწილი ნაკლებად უცხადებს ნდობას მსგავს პროგრამებს. მეორე მხრივ, დაბრუნებული მიგრანტების ნაწილი ნაკლებად აკმაყოფილებს აღნიშნული პროგრამების კრიტერიუმებს, რაც მათ მონაწილეობას ზღუდავს, ასევე, მიგრანტების ნაწილს არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია/კომპეტენცია (პროექტების წერა, ბიზნეს იდეის განხორციელების პრაქტიკული ცოდნა, როგორ ხდება აპლიკაციის შევსება და ა.შ.). შესაბამისად, რეკომენდებული იქნება მიგრანტების ცნობიერების ამაღლება აღნიშნული პროგრამების შესახებ. მათ უნდა მიეწოდოთ უფრო დეტალური ინფორმაცია, თუ რა საგრანტო პროგრამები ხორციელდება რეგიონებში, უნდა მოხდეს განხორციელებული პროექტების წარდგენა მათთვის, ნდობის გაზრდის მიზნით, ასევე შერჩევის პროცესებისა და კრიტერიუმების გადახედვა, იმისათვის რომ მოერგოს სხვადასხვა კატეგორიის დაბრუნებულ მიგრანტს და აღნიშნული პროცესების სრული გამჭვირვალობა. ბოლოს კი, დაბრუნებული მიგრანტების გადამზადება კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით (ისეთ საკითხებზე როგორიცაა: პროექტის წერა, ბიზნეს იდეის განხორციელება, ფინანსური ბიუჯეტირება და ა.შ.) რათა შეძლონ აღნიშნულ პროგრამებში მონაწილეობა.
6. 2015 წლიდან სამთავრობო ბიუჯეტიდან გამოიყო თანხა დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის მიზნით. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ეგიდით, რამდენიმე არასამთვრობო ორგანიზაცია ახორციელებს პროექტს საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში (მათ შორის კვლევის არეალში). აღნიშნული პროგრამების წარმატებით განხორციელებისთვის, **მნიშვნელოვანია, სხვადასხვა აქტორების (პროგრამების განმახორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაცია, ადგილობრივი მუნიციპალიტეტი და დაბრუნებული მიგრანტები) წარმატებით ურთიერთანამშრომლობა**. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ აღნიშნულ აქტორებს შორის ურთიერთმიმართება ხასიათდება, რამდენიმე გამოწვევით, როგორიცაა ინფორმაციის გავრცელება - მიგრანტები ნაკლებად არიან ინფორმირებულნი პროგრამების შესახებ და/ან აქვთ ნაკლები ინტერესი/ნდობა, რაც აისახება მათი მხრიდან ნაკლებ მიმართვიანობაზე. პროგრამების შესახებ, ინფორმაციის გავრცელება თავის მხრივ ხდება არასამთვრობო ორგანიზაციის მიერ, მუნიციპალიტეტების დახმარებით, თუმცა მათი თანამშრომლობა არ არის ეფექტური. შესაბამისად, რეკომენდებულია ამ აქტორებს

შორის თანამშრომლობის გაღრმავება მიგრანტების მიმართვიანობისა და კომპეტენციის (პროგრამაში მონაწილეობის მიღებისთვის) გაზრდის მიზნით.

7. მუნიციპალიტეტებში, როგორც პოტენციურ, ასევე დაბრუნებულ მიგრანტებში ყველაზე აქტუალურ პრობლემად და **მიგრაციის უპირველეს მიზეზად ვლინდება უმუშევრობა.** აღნიშნული პრობლემის დაძლევისათვის, აუცილებელია, რომ გაიზარდოს ბენეფიციართა კვალიფიკაცია და ცოდნა, რათა ისინი მეტად კომპეტენტურები გახდნენ სამუშაო ბაზარზე. ამისათვის მნიშვნელოვანია, რომ მხარი დაეჭიროს საგანამანათლებლო აქტივობებს. საკუთრივ ეს საგანმანათლებლო აქტივობები კი უნდა იყოს მაღალი ხარიხის, პრაქტიკული ხასიათის და მორგებული ადგილობრივ მოთხოვნებს.
8. კვლევის შედეგების მიხედვით, რომელსაც საქართველოში ჩატარებული სხვა კვლევებიც ადასტურებს (კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, 2015) ფოკუს ჯგუფში მონაწილე (კატეგორიების მიუხედავად) **რესპონდენტებს აქვთ არაერთგვაროვანი ინფორმაცია ვიზალიბერალიზაციის პროცესებისა და შედეგების შესახებ.** კონკრეტულად კი, რესპონდენტები ფლობენ როგორც სწორ, ასევე არასწორ ინფორმაციას. შესაბამისად, სწორი მოლოდინებისა და ინფორმირების მიზნით, სასურველია ცენტრალურ და რეგიონულ დონეზე, სხვადასხვა აქტორების, როგორიცაა მუნიციპალიტეტი, არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია, საზოგადოებრივი ცენტრები, სათემო ცენტრები და სხვა ურთიერთანამშრომლობა ვიზალიბერალიზაციის შესახებ ინფორმაციის გავრცელების კუთხით.

დანართები

დანართი #1: დაბრუნებული მიგრანტების სადისკუსიო გეგმა

დაბრუნებული ემიგრანტების პროფილის შექმნა

1. ფოკუს ჯგუფის მონაწილეების პროფილის შექმნა (ასაკი, სქესი, განათლება, ემიგრაციაში ყოფნის წელი და მუშაობის გამოცდილება, ემიგრაციის ქვეყანა, დაბრუნების წელი, დაბრუნების შემდეგ დასაქმების ადგილი და გამოცდილება, თვლიან თუ არა რომ საქრთველოში არიან თვითრეალიზებულები?)
2. მონაწილეებს ვთხოვთ შექმნან ემიგრანტის პროფილი - როგორია საშუალო ემიგრანტის მახასიათებლები: ასაკი, სქესი, განათლება, პროფესია, მუშაობის გამოცდილება. შესაძლოა ქვეყნის მიხედვით განსხვავებული იყოს...

ზოგადი შეფასებები

1. ზოგადად, როგორ შეაფასებდით მიგრაციის პროცესებს საქართველოში?
2. თქვენი გამოცდილება მიგრაციაზე: პირველად როდის წახვედით ემიგრაციაში? რა იყო წასვლის მიზეზი (ჩამოთვალონ რა ძირითადი მიზეზებია)? რომელ ქვეყანაში წახვედით? გადახვედით ლეგალური გზით თუ არალეგალური?
3. იქ რას საქმიანობდით? რამდენად კმაყოფილი იყავით იმ საქმით რასაც იქ ასრულებდით? სამუშაო მიზნით წასულებისთვის: რამდენი იყო ანაზღაურება? იყო თუ არა ეს საკმარისი? აგზავნიდნენ თუ არა თანხას საქართველოში? როგორი იყო მათი სამუშაო პირობები? როგორი იყო მათი საცოხვრებელი პირობები? რა იყო ყველაზე რთული მიგრაციაში ყოფნის პერიოდში? იცნობდნენ თუ არა სხვა ქართველებს? ჰქონდათ თუ არა მათთან კავშირი? ზოგადად ყველაზე ხშირად რა პრობლემებს აწყდებიან ქართველები უცხო ქვეყანაში ყოფნის დროს? რა სახის გამოწვევებს აწყდებიან ქართველები საზღვარგარეთ თავის დამკვიდრების მიზნით?
   რას მიაღწიეთ (შედეგი რა არის) მიგრაციის ყოფნისას?
4. როდის ჩამოხვედით? რატომ გადაწყვიტეთ ჩამოსვლა?
5. როგორ გაგრძელდა თქვენი ცხოვრება საქართველოში? რა სირთულეებს გადააწყდით როდესაც დაბრუნდით? (ჩამოთვალონ). მარტივი იყო თუ არა გარემოსთან შეგუება?

ამჟამად რას საქმიანობთ? იპოვნეთ თუ არა სამსახური? შეესაბამება თუ არა ეს სამსახური თქვენს კვალიფიკაციას?

6. როგორ შეაფასებდით საქართველოს თქვენს წასვლამდე და დაბრუნების შემდეგ? განვითარება - ეკონომიკური, სოციალური, კულტურული? ცვლილებები დადებითი თუ უარყოფითი?
7. თქვენი აზრით, უნდა მიდიოდეს თუ არა მოსახლეობა მიგრაციაში? რატომ?
8. რა გავლენა აქვს მიგრაციას ქვეყნის განვთარებაზე? დადებითი -რა სახის, უარყოფითი-რა სახის?
9. დიასპორის როლი? თუ ღებულობდით დიასპორის მიერ ორგანიზებულ აქტივობებში მონაწილეობას?

დაბრუნებული მიგრანტებისთვის არსებული პროგრამების შეფასება

10. თუ გაქვთ ინფორმაცია რა სახის პროგრამები არსებობს დაბრუნებული მიგრანტებისთვის?
11. თქვენ თუ მიგიღიათ მონაწილეობა? თუ არა რატომ?
12. ვისაც მიუღია მონაწილეობა: როგორ შეაფასებდით პროგრამას? თუ დაგეხმარათ ინტეგრაციაში?
13. ვისაც არ მიუღია მონაწილეობა: თუ მიიღებდით მსგავს პროგრამაში მონაწილეობას?
14. თუ ჯგუფს არ აქვს ინფორმაცია მივაწოდებთ არსებულ პროგრამებზე, რომელსაც დევნილთა სამინისტრო და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია ახორციელებს. გთხოვთ, მითხრათ თქვენი გამოცდილებით რამდენად შეესაბამება მიგრანტების საჭიროებებს არსებული პროგრამები? რა ნაწილს/ასპექტს დაამატებდით? რატომ?
15. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, თუ გიფიქრიათ უკან დაბრუნებაზე? თუ გაგიკეთებიათ რამე უკან დასაბრუნებლად? რატომ გინდათ დაბრუნება?
16. რა უნდა გაკეთდეს იმისთვის რომ დაბრუნებული მიგრანტების უკან წასვლის პრევენცია მოხდეს? რა უნდა შესთავაზოს სახელმწიფომ? საზოგადოებამ?
17. თქვენი აზრით, როგორ უნდა მოხდეს დაბრუნებული მიგრანტების ჩართვა თემის განვითარების პროცესებში?
18. როგორ შეაფასებდით ადგ. მთავრობის როლს დაბრუნებული მიგრანტების ინტეგრაციის პროცესსში?

ინფორმაცია ვიზალიბერალიზაციაზე

19. თქვენი აზრით, მოსახლეობას რა წარმოდგენა აქვს იმიგრაციაზე? როგორია მითი და რეალობა?
20. იმისათვის რომ სწორი წარმოდგენები და მოლოდინები შეექმნას მოსახლეობას რა არის საჭირო?
21. თქვენი აზრით, მოსახლეობა რამდენად ინფორმირებულია ვიზა ლიბერალიზაციის პროცესებზე?
22. თქვენ რა მოსაზრება/მოლოდინები გაქვთ ვიზა ლიბერალიზაციაზე?
23. თქვენი გამოცდილებით, როგორ შეაფასებდით ქვეყნის ევროინტეგრაციას?

თვითრეალიზება და ცხოვრებით კმაყოფილება

24. ამჟამად რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენი ცხოვრებით? - ოჯახით? სამსახურით? კარიერით? მეგობრებით?
25. რამდენად თვლით რომ ხართ რეალიზებულები?

რეკომენდაციები

26. თქვენი მოსაზრებები/რჩევები/რეკომენდაციები მიგრაციის პოლიტიკასთან (ემიგრანტების ინტეგრაციის კუთხით) დაკავშირებით, სახელმწიფოს, საზოგადოებას, არასამთავრობო ორგანიზაციებს?

დანართი #2: ორგანიზაციების შესაძლებლობების შეფასების კითხვარი

ორგანიზაციების (არასამთავრობო, სამთავრობო) შესაძლებლობების შეფასების კითხვები

(შეგვიძლია კითხვების საფუძველზე ამ თითოეული კრიტერიუმის მიხედვით 5 ბალიან სკალაზე შევაფასოთ თითოეული ორგანიზაცია),

1. სტრუქტურული (განყოფილება, დეპარტამენტი) შეფასება
2. პოლიტიკის დოკუმენტების (სტრატეგია, სამოქმედო გეგმა) შეფასება
3. განხორციელებული აქტივობების შეფასება
4. რესურსების შეფასება
5. სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შეფასება

ორგანიზაციის სახელი:			
ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირები			
ორგანიზაციის მისია და ფუნქციები			
სტრუქტურული შეფასება			
დებულებები	**დიახ**	**არა**	**არ შეესაბამება**
ორგანიზაციას გააჩნია დეპარტამენტი/განყოფილება, რომელიც მუშაობს მიგრაციის საკითხებზე			
ორგანიზაციას ჰყავს თანამშრომელი, რომლის მოვალეობაშიც მიგრაციის საკითხებზე მუშაობა წარმოადგენს			
1. პოლიტიკის დოკუმენტების შეფასება			
ორგანიზაციას აქვს შემუშავებული მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებული გარკვეული პოლიტიკა			
ორგანიზაციის სტრატეგიაში ასახულია მიგრაციის კომპონენტები			
ორგანიზაციის სამოქმედო გეგმაში ასახულია მიგრაციის კომპონენტები			
ორგანიზაციის ბიუჯეტში ასახულია მიგრაციასთან დაკავშირებული ხარჯები			
ანგარიშვალდებულება: მიგრაციის საკითხები ასახულია ორგანიზაციის შესაბამის ანგარიშებში			
ორგანიზაციას აქვს პროცედურები, რეგულაციები, რომელიც მიგრაციას ეხება			
ხელმისაწვდომია ორგანიზაციის მიერ შემუშავებული საჯარო დოკუმენტები მიგრაციაზე			
2. განხორციელებული აქტივობები			
ბოლო ორი წლის მანძილზე ორგანიზაციას აქვს			

მიგრაციასთან დაკავშირებით გარკვეული აქტივობები განხორციელებული			
განხორციელებული აქტივობები ხელს უწყობს სახელმწიფო სტრატეგიას მიგრაციასთან დაკავშირებით			
ორგანიზაციის მიერ განხორციელებული აქტივობები სრულად/საკმარისად პასუხობს თემში არსებულ პრობლემებს			
3. რესურსების შეფასება			
ორგანიზაციის თანამშრომლები კარგად იცნობენ ორგანიზაციის სტრატეგიას მიგრაციასთან დაკავშირებით			
ორგანიზაციის თანამშრომლები იცნობენ მიგრაციასთან დაკავშირებულ სახელმწიფო დოკუმენტებს (სტრატეგია, სამოქმედო გეგმა და ა.შ.)			
ორგანიზაციის თანამშრომლებს კარგად ესმით მათი როლი და პასუხისმგებლობა მიგრაციის პრობლემის დაძლევასთან მიმართებაში			
ორგანიზაციის ლიდერები მუდმივად განიხილავენ მიღწეულ შედეგებსა და არსებულ გამოწვევებს მიგრაციის საკითხებზე			
ორგანიზაციას აქვს საკმარისი ფინანსური რესურსები მიგრაციის საკითხზე მუშაობისთვის			
ორგანიზაციას ჰყავს საკმარისი მიგრაციის საკითხზებზე მომუშავე ადამიანური რესურსები			
ორგანიზაციის თანამშრომლები საჭიროებენ მიგრაციის საკითხზე გადამზადებას/ტრენინგს			
ორგანიზაციას გააჩნია შესაბამისი რესურსები (საინფორმაციო ბუკლეტები, პოსტერები და ა.შ.) მიგრაციის საკითხებზე მოსახლეობის ინფორმირებისთვის			
4. თანამშრომლობის შეფასება			
ორგანიზაცია/ხელმძღვანელობა და თანამშრომლები იცნობენ დაინტერესებულ მხარეებს/ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაობენ მიგრაციის საკითხებზე			
ორგანიზაცია აქტიურად თანამშრომლობს სხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც მიგრაციის საკითხებზე მუშაობენ			
ბოლო ორი წლის მანძილზე, ორგანიზაციის თანამშრომლები რამდენჯერმე დაესწრნენ კრებას/ყრილობას/კონფერენციას ან სხვა მსგავს ღონისძიებას მიგრაციასთან დაკავშირებით.			
ბოლო ორი წლის მანძილზე, ორგანიზაციის თანამშრომლები შეხვედრიან მოსახლეობას მიგრაციის საკითხებზე სასაუბროდ			

დანართი #3: დოკუმენტების ჩამონათვალი:

- ✓ მიგრაციის პროფილი, 2015 (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია)
- ✓ State of Migration, 2015, ENIGMA project ICPMD
- ✓ ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონი
- ✓ მიგრაციის სტრატეგია 2013-2015
- ✓ მიგრაციის სტრატეგია 2016-2020
- ✓ მიგრაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა 2016-2018

დანართი #4: ჩატარებული ინტერვიუების ჩამონათვალი

N	ადგილი	სტატუსი	ინტერვიუ / ფოკუს ჯგუფი
1	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	დაბრუნებული მიგრანტები	ფოკუს ჯგუფი
2		პოტენციური მიგრანტები	ფოკუს ჯგუფი
3		აქტიური მოქალაქეები	ფოკუს ჯგუფი
4		ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი	ინტერვიუ
5		გამგებლის წარმომადგენელი ჩოხატაურში (რწმუნებული)	ინტერვიუ
6	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	დაბრუნებული მიგრანტები	ფოკუს ჯგუფი
7		პოტენციური მიგრანტები	ფოკუს ჯგუფი
8		ჯვარის ზრდასრულთა განათლების ცენტრის დირექტორი	ინტერვიუ
9		წალენჯიხის მუნიციპალიტეტის შრომის, ჯანმრთელობის, საზოგადოებრივი დაცვის, დევნილთა და ვეტერანთა სამსახურის, დევნილთა განყოფლების უფროსი.	ინტერვიუ
10		ჯვარის რწმუნებულის აპარატის მთავარი სპეციალისტი	ინტერვიუ
11	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	დაბრუნებული მიგრანტები	ფოკუს ჯგუფი
12		პოტენციური მიგრანტები	ფოკუს ჯგუფი
13		აქტიური მოქალაქეები	ფოკუს ჯგუფი
14		ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მთავარი სპეციალისტი ლტოლვილთა დახმარების საკითხებში	ინტერვიუ
15		გამგებლის წარმომადგენელი სოფ. ლელიანში (რწმუნებული)	ინტერვიუ
16	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	დაბრუნებული მიგრანტები	ფოკუს ჯგუფი
17		პოტენციური მიგრანტები	ფოკუს ჯგუფი
18		აქტიური მოქალაქეები	ფოკუს ჯგუფი
19		თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის განვითარების განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი.	ინტერვიუ
20		გამგებლის წარმომადგენელი სოფ. კოდაში (რწმუნებული)	ინტერვიუ
21	ზუგდიდი	ფონდი "აფხაზეთი"	ინტერვიუ
22	თბილისი	მიგრაციის საკითხთა სამათვრობო კომისია	ინტერვიუ

23		საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	ინტერვიუ
24		ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	ინტერვიუ
25		მიგრაციის ცენტრი	ინტერვიუ
26		ICMPD	ინტერვიუ
27		მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია	ინტერვიუ